წელიწადი პირველი.

ფასი 20 კ.

№ 2

განთიადი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ასფ. ი. ბერიძის სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г. С. С. Р.

ორკვირეული
სამეცნიერო, სალიტერატურო
და საპოლიტიკო ჟურნალი.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

1. მგოსან აკაკის ავთმყოფობის გამო—ისო-სი
2. ბრძოლის ველათ—ია ეკალაძე-სი.
3. ბრწყინვალე მომავლისაკენ—ივ. ი-ანი-ს.
4. საყოველთაო გეგმა—ნიკო ნიკოლაძის.
5. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში—ამბერის.
6. კრიტიკა—ხომლელის.
7. მწიგნობრობის თანამგზავრი—ის. კვიპარიძე
8. ბედისწერა—გ. ტაბიძის.
9. ახლო აღმოსავლეთი—გულკეთილის.
10. ომის მატიანე.
11. ჟურნალ-გაზეთების ტაციობა ქუთაისს თფილისში—რედაქციისგან.

ჟურნალ-გაზეთების საბჭო
„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ"
ქუთაისში

15 იანვარი 1915

№ 2.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
სტამბა „ძმობა" ქარვასლის ქუჩა, სახლი ჩარექოვისა.
1915

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„განთიად“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თიოო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს — 1 მან. და პირველ ივნისს — 1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, ოფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панихава.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„თემ“-ზე

გამოდის ორშაბათობით

წელიწადი მეხუთე.

გაზეთის ფასი: წლიურათ 2 მ. 50 კ. ნახევარი წლით 1 მ. 25 კ.

საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.

მისამართი. ოლგას ქ., სახლი დიასამიძის, № 4.

1915 წლის 6 იანვრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„იმერეთ“-ზე

რომელიც აქამდი სასამართლოს დადგენილებით შეჩერებული იყო.

გაზეთი ღირს: წ. 7 მ., 1/2 წ. 4 მ., 3 თვ. 2 მ., 10 შ., 1 თვ. 4 აბაზი. ცალკე ნუმერი 1 შაური.

მისამართი: ქუთაისი, „იმერეთი“-ს რედაქცია, სახლი პ. ი. გოკიელისა.

განთიადი № 2.

ყურნალის ფასია: ქუთაისში წლით 4 მ., ნახევარი წლით 2 მ., სამი თვით 1 მ. თვიურათ 40 კ. ქუთაისის გარეთ წლიურათ 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ., სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., რედაქციის მისამართია: Кутаисъ Редакція „Гантіади"

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ყურნალი.

№ 2 15 ი ა ნ ვ ა რ ი 1915 წელი.

მგოსან აკაკის ავათმყოფობის გამო.

მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკის თავის სამშობლო სოფელ **საჩხერეში** მძიმე ავათყოფობამ მთელ ქართველობაში მსწრაფლი შეკითხვები გამოიწვია. ყველა კითხულობს: **ნეტა, როგორაა ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი?** ამას კითხულობენ დეპეშებით, წერილებით: მნახველების პირით, ქუჩაში და ბინაზე, სალონებსა და ქოხებში. კითხულობენ არა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, შორეულ, უცხო ქვეყნებიდანაც კი. მის ოჯახში აუარებელი მნახველი დადის და ტყობულობს მის ავსა და კარგს. წერილებით და დეპეშებით ხომ კიდე მეტი ყურათღებაა მიპყრობილი დ. საჩხერისკენ მისი დიდებული შვილის ამბების შესატყობათ.

და მართლაც, ასეთი და მეტის ყურათღების ღირსიც არის ერთი უხუცესი ბურჯთაგანი საქართველოს კულტურულ დიდებისა, 60-იან წლების ერთი თვალსაჩინო მაგიკანთაგანი, რომლის თვალ-წინაც გაიარა საქართველოს ერთი საუკუნის ბედ ილბალმა და მისი კულტურულ პოლიტიკური (ხოვრების სიავ-კარგემ.

აკაკი ჩვენი ცხოვრების ბევრი სიდუხჭირის მომსწრეა, მას ბევრი რამ საგულისხმო თავს გადახდია, მის გონებაში მეცხრამეტე საუკუნის ქართველების გენიას, უხვათ თავი მოუყრია, მარა ფართოთ და თავისუფლათ ვერ გაფურჩქნილა ჩვენს მწერლობაში, ყოველ მხრივ შემბორკველ პირობების გამო.

ამიტომ ეს დიდბუნებოვანი ადამიანი უფრო მეტი პატივის დიდების ღირსი იყო და არის, ვინემ მას ამ უკანასკნელ ხანებში წილათ ხვთა და მით გულდაკოდილი „სულის მარტოობას" განიცდიდა და განიცდის...

გარდა ძმიმე ავათმყოფობისა აკაკისადმი დღეინდელი ყურათღება გააორკეცა „ახალი" აზრისათვის" დეპუტატ აკაკი ჩხენკელის სახელით გაგზავნილმა დეპეშამ, რომლითაც

უცნობი ავტორი აფრთხილებს ქართველ საზოგადოებას, რომ მგოსნის ხელნაწერებს და საჭირო დოკუმენტებს დროიანათ მოუარონ და უპატრონონო. *)

ამ დეპეშამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თფილისსა და ქუთაისში და გამგზავნელს გაფაციცებით დაეძებენ. წერა-კითხვის სამართველოს უმთავრეს გამგეობას თფილისიდან თავის გამგეობის წევრი ნინო ნაკაშიძე გამოუგზავნია ქუთაისის განყოფილებაში ამ საქმის შესახებ ზომების მისაღებათ.

გამგეობამ რამდენიმე ინტელიგენციის თანდასწრებით მოილაპარაკა და ჯერჯერობით შემდეგი დადგენილება მიიღო: 1. ეთხოვოს იმ პირთ, რომელთაც მიბარებული აქვთ აკაკის ნაწერები და საბუთები და აგრეთვე ანდერძის შესრულება, რომ ეს საბუთები მტკიცეთ იქმნას დაცული შენახულ ალაგს.

2. აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი (იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე და გრიგოლ გვილესიანი), რომელიც იზრუნებს ავათმყოფ მგოსნის ნივთიერ დახმარებაზე. მან უნდა იშვამდგომლოს ქუთაისის საზნაურო ბანკის წინაშე, რომ მისცეს აკაკის დანიშნული პენსიიდან (2000 მან.) დარჩენილი ხვიდრი ფული ამ წლისა

3. იმავე კომიტეტმა უნდა იშვამდგომლოს თფილისის თავად აზნაურობის წინაშე, რომ იმათაც აღმოუჩინონ ავათმყოფს ნივთიერი დახმარება და ამაზე ზრუნვა თფილისში მიენდო „თემი“ — სრედაქტორს გრიგოლ დიასამიძეს, რომელიც იმ თავიდან სხვებზე უფრო დაახლოვებულია მგოსანთან და გული შესტკივა მაზე.

4. აკაკის ავათმყოფობაზე მზრუნავ კომიტეტის სახელით და მისი მინდობილობით დაევალა დროებით საჩხერეში მყოფ მკურნალ კახიანს სამკურნალო დახმარება გაუწიოს ავათმყოფს იქაურ მკურნალ სიმონ ჯაფარიძესთან ერთათ და მისი ბიულეტენები ატყობინოს ხოლმე ყოველ დღე ქუთაისის და თფილისის რედაქციებს.

5. აკაკის ნივთიერათ დახმარებისთვის ამავე კომიტეტს მიენდო გამოსცეს მისი ახლათ დაწერილი პოემა „ომი“, რომელსაც დასტამბავენ წერა კითხვის საზოგადოების სახელით, ხოლო შემოსავალი, ხარჯებს გარდა, გადაეცემა აკაკის წიგნი დაისტამბება წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბაში. და უეჭველია, ყოველი წერა-კითხვის მკოდნე ქართველი სიამოვნებით შეიძენს ავათმყოფ მგოსნის ახალ პოეტურ ნაწარმოებს განზრახულის მიზნის შესასრულებლათ... **ისო.**

1) ამ დეპეშის ავტორობა და გაგზავნაც იმავე გაზეთ „ახ—აზრში“ № 118-ში უარყო ბ. ჩხენკელმა. • ავტორი.

ᲑᲠᲙᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲐᲗ.

(ესკიზი ლექსათ)

ᲫᲚᲕᲜᲐᲗ ᲕᲐᲜᲝ ᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

... შავმა ნისლებმა დაფარეს
სამშობლოს მთები მაღლები
ვაშკაცნი ომში გარეკეს,
სოფლათ ღა დარჩენ ძაღლები
და ქალ-რძლებისა ამარა
მტირალა ძუძუს ბალღები...

ომშია მელანოს შვილიც
შუახნის გლეხი-ომარა,
კავკაკებს სადარაჯოზე,
წამოუსხია ტომარა.
ათი დღე არის მტერს ელის:
ალარ გამოჩდა ტიალი!
მობეზრდა მტრისა ლოდინი,
ამდენი გულის ტრიალი.

— ბაითალმანო! სადა ხარ?
გამოჩდი, დამენახეო,
ხანჯლის წვერზედა აგაგო,
ჩემი მარჯვენაც ნახეო!..
მაგრამ... რა მტერი, რის მტერი,
რაი გვაქვს გასაყოფელი,
ისედაც შხამით სავსეა
წყეული წუთი სოფელი!...
ღმერთო და წმინდა გივარგი,
რისთვის ჩაგვყარე ცეცხლშია,
სახრის მაგივრათ რათა მაქვს
ვერანა თოფი ხელშია?
ან აქ რა მინდა, რათ ვკვდები
ქართველი — უ ცხო მხარეში,
ამბობენ ყიზილბაშებმა
ჩვენშიც დაიწყეს თარეში.

არვიცი... არა მესმის-რა,
ალბათ ვარ ტიკი —ტომარა!
სად გერმანელი და სად მე
მელანოს ბიჭი—ომარა!...
ნეტა კი ახლა შინა მქნა,
ჩემ სოფელ დოღლაურშია,
მაჩვენა ჩემი სახლ-კარი,
შემაჭვრეტინა გომშია.
ვაჰმე, თუ ჩემი ბოსელი
გაყინულ განათოშია,
ავათ მყავს ჩემი ნიკორა,
აღარა ყოფნის რიშია.
ან ჩემი ფარნა—მოზვერი,
შვილივით რომ მყავს გაზდილი,
ნეტა, თუ მორჩა... ქიტესამ
ზურგში დამირტყა მარგილი.
მაცალე, ძია ქიტესავ,
თუ კი დავბრუნდი მშვიდობით,
განანებ ავ-კაცობასა,
აღარ დაგინდობ დიდობით!
ი დედაკაცი რაღას იქს,
ნეტა, თუ მოვაგონდები?
ნეტა, თუ იცის, რომ მისთვის
შორს წამოსული ვღონდები?
ი ჩემი ბიჭი—ხუჭუჭა,
იქნებ ტიტველა ტანტალებს
და დედაჩემი—მელანო—
თავისებურათ ტატანებს.
ი ჩემი სხნის-საკვეთი,
ნეტავი, დამხვდეს სახლშია
და არ წაეღოს სომეხსა
პაპა ბერუას ვალშია.
ღმერთო მაღალო, მომხედე
მაკმარე ტანჯვა—წვალება,
მაგრამ... უბედო თვის წერას,
ან კი სად დაემალება?...“
ფიქრობს და ღელავს მებრძოლი,
ჯავრი აწვება გულზედა,
ბნელი ფიქრების მორევი
უმატებს წყლულსა-წყლულზედა.
თოფზე დაეყრდნო იდაყვით,
თავი ჩაიდო ხელშია,
ბობოქრობს, თან გულს იმაგრებს,
იცის, რომ განსაცდელშია...
სამი ღამეა ძილს იფრთხობს,
ნაყრიც არ მიკარებია.
ფხიზლობს და ფხიზლობს გუშაგი,
ავდარიც უდარებია,
მარა მოდუნდა ვაშკაცი,
არ შველის თავის მხილება,
ღონე მიხდილსა მეომარს
ზეზელას ჩაეძინება.

—

სიზმარში ხედავს ტყე ველებს
თავის სამშობლო მხრისასა...
შინ არის... ცოლშვილს უამბობს
დამარცხებასა მტრისასა...
თავის საყვარელ გოგონას
დალალებს უშლის თმისასა...
აგერა, პაპა ბერუა
ხელზე იბერტყავს ქისასა.
—ბაბუა, ჩემო ბაბუა,
თამაქო გამოგელია?
ბიჭი გაგზავნე ბაზარში,
ნახოს ხახამი ელია,
ნისიას ერთი ორათ სწერს,
როდია ჭკუა თხელია!
— შენ რაღას დაბუდარაობ,
ნენავ, ბებერო მელანო,
გეყოს მაგდენი ფუსფუსი...
მიეშველევი, ჯერანო!*)
გოგოვ, შავ-თვალავ, მომხედე,
რას დაგიხრია თავია,
თუ შენი ტრფობა არ მქონდეს,
მომტყდეს მარჯვენა მკლავია!
მიყვარხარ, ქალავ, მიყვარხარ,
ვით ირემს წყაროს წყალია,
შენის შეხვედრის სურვილმა
გული, გონება დალია.
მიყვარხარ, სამებას ვფიცავ,
ბიჭი არა ვარ მხდალია,
ავგაროზივით დაგიცავ,
სანამ ხელთა მაქვს ხმალია!...
ბიჭიკო—ჩემი პატარა
შეგინახია კარგათა.

ჯერანი—ქალის სახელია,

მოველ... და ყველას მოგივლით,
თავს არ გაგიხდით ბარგათა!...“
ეალერსება, უცინის,
შინაურ-გარეულებსა.
ღიმილი უქრის სახეზე...
ჩაკვრია სატრფოს უბესა!,..
მტერი, დუშმანი აღარ ყავს,
გადაყოლიან ღრუბლებსა!

—

ძაძა ჩაიცვა ბუნებამ:
ხევებში ქარი ღრიალებს,
შორს... სადღაც, — მთისა გადაღმა, —
თოფ — ზარბაზანი გრიალებს.
ისმის კვნესა და ვაება,
ყვავ — ყორანთ გუნდი ტრიალებს, —
ახლოა მტერი, ახლოა,
იმათი დროშაც ფრიალებს!..

—

უცბათ იჭექა ყუმბარამ,
მთა წამოვიდა ზვავათა,
კვამლმა დაფარა სამყარო, —
შავია სანახავათა!
ხევნი აჩქამდენ... ტყეებმა
მორთეს საზარი ხრიალი,
ტყვიების წვიმა მოვიდა,
ასტყდა სროლა და ღრიალი,
ცა ჩამობნელდა, ხმელეთმა
იწყო შფოთვა და გრიალი...

—

ბრძოლა გათავდა... მთა-ველათ
დადგა მკვდრებისა გროვანი,
დაჭრილთა კვნესა — ვაება, —
ყველრება ათას-ხმოვანი
ღმერთსა სწვდებოდა... იქ, — ცაში, —
წმიდანთ შეექნათ გლოვანი!..

—

ერთ ადგილს, — მკვდართა გროვაში, —
გდია მელანოს ომარა...
ტყვიებით დაცხავებული
სისხლს იშრობს მისი ტომარა.

—

დოღლაურისა ბოლოში, —
სადაც მიწური ქოხია, —
ეზო ბალახით ავსილა
აღარა ხვდება თოხია.
გაგიჟებული მელანო
ტყე-ველათ დარბის, ღრიალებს,
პაპა ბერუა სულს ღაფავს,
კერისა პირას ხრიალებს,
ჯერანო ქვაზე ახლის თავს,
მისი მანდილი ფრიალებს,
სოფელი ცოდვით დამწვარა,
გლოვისა ზარი ზრიალებს,
უკმეხი ქყევნის ჩარხი-კი
კვლავ ძველებურათ ტრიალებს...

ია ეკალაძე

28 დეკემბერი 1914 წ
ქ. ქუთაისი.

ბრწყინვალე მომავლისაკენ.

(მოთხრობა)

III

შუა დღეს ცოტა ღრუკლდა, როცა საკმაოთ გამოძინებული ბაბო დამჯდარიყო შუშაბანდიან აივანზე და იქედან გადაყურებდა თვალ უწვდენელ ეზოს. მალე ჭიშკარიც გაიღო და ბაბოს ეზოში გამოჩდა სანახავათ მოსულ სტუმართა მთელი კრება; თეთრის ქოლგებით და თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი კნეინა—კნიაჟნები, რომელთაც გზაში გასართველათ გამოეყოლებინათ ორი ახალგაზდა ვაჟი. ისინი მხიარულის სიცილ-ლაპარაკით უახლოვდებოდენ სახლს. როგორც რიგი და ჩვეულება მოითხოვდა ბაბო აღტაცებით შეეგება სტუმართ. მათაც რიგი და ჩვეულებისამებრ სამ-სამჯერ გადაკოცნეს დაუვიწყარი კნეინა და ტკბილი სიტყვებიც არ დაშურეს. ვაჟებმა თავადიშვილური ზრდილი სალამი მისცენ მასპინძელს და ხელები დაუკოცნეს. კნეინამ კი, სამაგიეროთ, შუბლზე აკოცა მათ. ისინი შევიდენ აივანზე და, როცა ლაპარაკი გამართეს, სერიოჟაც გაახსენდათ.

— Княгиня, гдѣ-жъ Сережа?-იკითხა სწორის და ლამაზი სახის ლიზამ—თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის მომხიბლავმა თავადის ასულმა.

— Мой Сережа еще спитъ; онъ, бѣдный, такъ уморился отъ этихъ проклятыхъ экзаменовъ, что не можете себѣ представить!—მწუხარე სახით თქვა ბაბომ.

— თქვენ წარმოიდგინეთ დილიდან საღამომდი წიგნებზე ჩიჩინი! ძალიან ჯაფაში იყო, თქვენმა სიცოცხლემ, მარა მადლობა ღმერთს!—

სერიოჟას გამარჯვებამ დიდი სიამოვნება გამოიწვია სტუმართა შორის. ერთმა ვაჟთაგანმა, საშუალო სასწავლებლიდან ჩხუბისთვის გამორიცხულმა, არკადიმ თხოვა ბაბოს სერიოჟას გამოღვიძების ნებართვა და მის ოთახისკენ გაეშურა.

სერიოჟა ამ დროს ახალი გამოღვიძებული იყო. თორმეტი საათის უშფოთველ ძილს იგი საკმაოთ გამოეშუშებინა. ის იყო ადგომასაც აპირებდა, რომ არკადი არ შევარდნილიყო მის ოთახში.

— Здорово, кацо! სერიოჟა ღიმილით ლოგინზე წამოჯდა, მეგობრებმა ჩაკოცნეს ერთმანეთი და შეუდგენ ჩვეულებრივ მასლაათს. ჯერ არკადის რიგი იყო.

— Сержъ, ты здорово пополнѣлъ!—დაიწყო არკადიმ თავისებურათ; მას გამოცდილი ქონდა, თუ რა სასურველ ჩაბეჭდილებას ახდენდა მეგობარზე გადამეტებული ქება.

ერთხელ, ეს ორი ძმა კაცი კარგა მოზდილი ხრამის პირათ იდგენ, სოფლის განაპირათ.

— ნეტავი, თუა ისეთი ვაშკაცი, თქვა ეშმაკურათ არკადიმ, რომ ამ ნაპირიდან იქ, იმ მიწას დაახტესო.-

სერიოჟას ვაშკაცათ მოქონდა თავი, გაზვიადებული იყო ამხანაგების, უფრო კი არკადის ქებით და ეს უკანასკნელი სიტყვები შეურაცყოფათ მიიღო.

— დიდი ამბავი ჰო... დიდი ამბავია მაქ თუ გადავხტი!—

არ ვიცი, ძმაო, ვინმე თავ მოძულებული თუ იქნება, თვარა სხვა ვინ გაბედავს?!.. აქ, ჩვენს კნიაზებში ბევჯერ დანიზლავებულან ამაზე, მარა ნიპრიწ! ვერავინ გაბედა! -

არკადიმ ამ სიტყვების დაბოლავება ვერც კი მოასწრო, როცა სერიოჟა უკვე მოსწყდა თავის ადგილს და ხრამში გადაეშვა. სერიოჟა, საბედნიეროთ, სილაში ჩაეფლო და სიკვდილს გადარჩა, მარა ისეთი დაინჯღრა, რომ გული კინაღამ წაუვიდა. ზარდაცემული არკადი ერთ წუთს გაშეშდა, დაიბნა, მარა როცა დაინახა, რომ მეგობარი უვნებელი გადარჩა, ასტეხა ზევიდან გულის მოსაგები კიჟინი:

— ბრავო, ბრავო! герой, герой მე და ჩემმა ღმერთმა!... აფსუს!—

თუმცა, ამ შემთხვევის შემდეგ, სერიოჟა მთელი ერთი კვირა ტკივილებს გრძნობდა, მარა ხორციელი ადამიანისთვის არ გაუგებინებია.—

— Ты на великана похожъ!—უთხრა

არკადიმ მეგობარს და ლოგინზე ჩამოუჯდა.

Какого чорта, კაცო! ის კი არა სულ დამაჭკნო ამ ეგზამენებმა. — ორ აზროვანის ღიმილით თქვა სერიოჟამ და მკერდზე საბანი ჩამოიშორა. გამოჩდა განიერი და მაღალი მკერდს.

— დამჭკნარა! ხა, ხა, ხა! არა გავს ჩემს მკერდს, თუ? — დაიმცირა არკადიმ თავი. სერიოჟას იამა.

— ახლა, თუ ძმა ხარ, მოყევი, როგორ ატარებდი დროს ქალაქში, ალბათ, მუსრს ავლებდი კეკლუცებს! Тебѣ, вѣдь, ужасно везетъ по амурной части! მოყევი, თუ ძმა ხარ, მოყევი... ხომიცი, ჩვენს სოფელში ამმხრივ დიდი ნაკლულოვანებაა. კი, თუმცა ერთი გლეხის გოგონა ვიგდე ხელში, მარა, რაც იმაზე ხლაფოთა დამატყდა ნე დაი ბოგ!.. მოყევი შენი პახაჟდენიები?

— ჩემი პახაჟდენიები?.. ეეეე!.. ყველა რომ მოგიყვე, მგონი, წრეულს ვერ გავათავო! — —

— ერთი მაინც თქვი, შეკაცო! —

— კარგი ძმაო — თქვა სერიოჟამ და დაიწყო:

— ამ შვიდი, რვა თვის წინ დედას მოუყვანეს გურიიდან ერთი შვენიერი გოგო: რომ იტყვიან кровь съ молокомъ!

— ოი, შენს ტყავს! ჩაამწყლაკუნა არკადიმ ტუჩები. რამდენი წლის იქნებოდა? —

ასე, თხუთმეტ — თექვსმეტი წლისა, მეტი არა. ისეთი ცქრიალა იყო, ისეთი ცუგრუმელა! პაწაწინა ძუძუები ქოდა... ხო და, მე, ხომიცი, ჩემი ამავი? თავდაპირველათ ისე მოვაჩვენე თავი, თითქო არაფრათ მიმაჩნიაო! ხშირათ ბრძანების კილოთი ვეტყოდი ეს მომართვი, ის წაიღე მეთქი და თანვე ვაკვირდებოდი მის ფსიხოლოგიას. ჩვენ მერვეში გავდიოდით ამ საგანს... ბოლოს, შევამჩნიე, რომ გოგოს ძლიერ ესიამოვნებოდა ტკბილ სიტყვას რომ ვეტყოდი. ხანდისხან დილ-დილობით, როცა გაწმენდილ ფეხსაცმელებს შემომიტანდა ოთახში, მე განგებ მკლავებს გავიშიშვლებდი, понимаешь?.. გოგო რომ სურვილზე მომეყვანა.

პირველათ, რასაკვირველია, გოგოს რცხვენოდა, და წითდებოდა, საჩქაროთ გადიოდა, ოთახიდან. რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ დღეს ოგეცა შველა ჩავიკარი ის გულში და მადია ათ ჩავკოცნე! გოგო, თითქო შეშინდაო:

— რას შვები ბატონო; დაიკვნესა განგებ და მთელი დღე არ მომკარებია. მეც შევცვალე ჩემი პოლიტიკა და ისიც მაღე შემეჩვია.

ერთხელ, დედა კლუბში იყო. სახლში დავრჩით მე, ეს გოგო და მზარეული ბიჭი. ეს უკანასკნელი გავგზავნე, განგებ, ამხანაგთან წიგნის მოსატანათ.

ღამის ათი საათი იყო. ავდეგ და გავიპარე გოგოს ოთახისკენ, კარები ჩუმათ შევაღე და შევიჭვრიტე, სანთელი ენთო. დაღლილი გოგო წამოწოლილიყო თავის ლოგინზე და ტკბილათ ჩაძინებოდა. მე ცერებზე ცაცუნით შეველ ოთახში. ვერ წარმოიდგენ, არკადი, რა შვენიერი სანახავი იყო მაშინ ის შეჩვენებული! ნელ სუნთქვაზე გული ღრმათ უტოკავდა, მისი ნაზათ მიხუჭული თვალები შესაჭმელათ მოგინდებოდა! მკლავებ გაშლილი გადაბრანძულიყო, ჩემო ბატონო, ამ ლოგინზე და ხვრინავდა. მე რამდენიმე წუთი გაშტერებით დავცქეროდი მას. ბოლოს ავცახცახდი, სული შემეხუთა! კაცო, представь себѣ мое положеніе! რა უნდა მექნა? —

— ჰო, მერე, მერე, конечно ужасное положеніе! — მერე, შენ გენაცვალე? ეხვეწებოდა მეგობარს გრძნობა აშლილი არკადი.

— მერე და, გავუცოცე ხელი. ნელა.. ნელა გავუშიშვლე გული, ფეხები.., არაფერი არ გაუგია.

— მერე, მერე? —

— მერე, ხომ იცი რა იქნებოდა?

— კი, მარა მაინც ვერაფერი გაიგო იმ სულელმა?

— როგორ არა! გაიგო კი არა, ბევრი იჩხავლა, მარა ვინ დაუჯერებდა! აუვარდა ტირილი! იტირა, იტირა, ერთი საათი მაინც ვაცალე. მერე შეუვარდი ოთახში და ვუთხარი — გაჩუმდი, არაფერი გააცხადო, თვარა დაიღუ

პები მეთქი! დედაჩემი გაგაგდებს აქიდან, სახლში არ მიგიღებენ, და მე, თუ სადმე შეგ. ხვდი, შენს თავს ციხეში დავაჭერინებ მეთქი! ჩაჩუმდა, ხმა არ ამოუღია!

მეორეჯელ, ეს იყო ერთი კვირის შემდეგ, როცა დედა ისევ კლუბში იყო, მე ისევ ისე მოვიქეცი. ამის შემდეგ ძალა აღარ დამჭირებია, გოგო უხმოთ მნებდებოდა:—

— ვოტ ტებე ინა! ბედი გაქვს, ძმაო, ბედი! მერე სად არის ახლა ის გოგო?

— დედამ გააგდო უკვე და უსაქმურათ ქუჩებზე დასეირნობს.

— რატომ გააგდო?

— გაგვიგო, ჩემო ძმაო, ასეთი საქმე, როდი დაიმალება?

— ჰო, ეს არაფერია, ჩემო სერიოჟა! ახლა, რა გითხრა, იცი? ჩაიცვიტ ანზე, გავიდეთ სტუმრები გეწვია.

— ვინ არიან? იკითხა სერიოჟამ.

— სტუმრები ბევრი გყავს, კნიაჟნებს ჩამოვთვლი, სხვა რა საინტერესოა: ლიზა, ვერა, კატუტია, ვენერა, ელიჩკა, ნადია...

სერიოჟამ აჩქარებით ტანთ ჩაიცვა, პირი დაიბანა და არკადისთან ხელ გაყრილი სტუმრებისკენ გაეშურა...

ასეთი სტუმრობა იშვიათი მოვლენა როდია სოფელ თავადისეულში. იქაურ თავადებს ერთი შვენიერი ჩვეულება აქვთ. ყოველ დღე, აუცილებლათ, ერთი რომელიმე ოჯახი მოიპატიჟებს ვახშმაო, ან სადილათ, დანარჩენ თავადობას. (სულ რამდენიმე ოჯახია) მეორე დღეს ამ წმინდა მოვალეობას ასრულებს მეორე ოჯახი, მესამე დღეს— მესამე და ასე. თავის ოჯახში სადილობა თითოეულ თავადს მოუხდება ათ დღეში ერთხელ, მარა იმ დღეს ჩინებული მასპინძელიც უნდა იქნეს.

კვირაში ერთხელ იმართება საუცხოო პიკნიკი, რომელზედაც თავს იყრის მთელი იმ სოფლის ბრწყინვალე წოდება. ერთის მხრივ „შვილები“—მოძრავი და მხიარული ახალგაზდობა, მეორე მხრივ, „მამები“—ხანში შესული და მოხუცებული თავადობა. მოლხენაში, აშიკობაში და ოხუნჯობაში მამები არა თუ ჩამორჩენიან შვილებს, ჭარბობენ კიდეც. მათ შორის არავითარი იდეური დავა და წინააღმდეგობა არ არსებობს. ლხენის დროს ახალგაზდობა მოწიწებით ეპყრობა ხანში შესულ თავადებს. სამაგიეროთ, ხანში შესულთ ძლიერ მოსწონთ ახალგაზდობა, ეს ЗОЛОТАЯ МОЛОДЕЖ, მათის აღიარებით, და მათ ძვირს ენას არ ათქმევინებენ. ვისაც სურს დაივიწყოს ქვეყნიური ჭირ—ვარამი და მიეცეს მომხიბლავ ოცნებებს, უნდა დაესწროს ამ პიკნიკებს. თვალის წარმტაცი რამ არი! მთელი ღამე, ამაღლებულ გორაკზე გაშლილ ეზოდან, რომელსაც ქოლგასავით დახურვია თავზე უზარმამაზარ ცაცხვთა გაშლილი ტოტები, გაისმის ზურნის შეუწყვეტელი ჭიჭყინი, თარის კვნესა და დაირის ბრახუნზე ტკბილი ბაიათები. სახელგათქმული მობაიათე ვახტანგ ამირეჯიბი არ ღალდება, შეუტევს და შემოუტევს, ნამეტნავ განთიადისას:

— შავი... ზღვის ნაპირაას.. ჩემი სახლებიიი ბალამ, ბალამ, ბალამ... ან და.

— აჯან, აჯან, შენი ქება...

შენზე კარგი ვინ იქნება. ბა, ბა, ბა, ბა...

სერიოჟა ძალიან ეტანებოდა ამ პიკნიკებს. ლოტოს თამაში, ქალებთან ალერსი და ზურნის ხმაზე ლეკურის ცეკვა მისი საქმე იყო. უნდა გენახათ, როგორ ცოცავდა სერიოჟა ზურნას რომ დაუკრავდენ. ახალგაზდა ქალიშვილებს გული უტოკავდათ სიამოვნებით, თვალები უცინოდათ და ყველა მას ულიმოდა. გაათავებდა თამაშს და ისევ სტოლს მიუდებოდა.—

ეს ზაფხული მისთვის განსხვავებული რამ იყო. თავის დღეში არ გაუტარებია სერიოჟას: ასეთი დრო. და ამ მხიარულების დროს ერთი რამ აუცილებელი მოლოდინი ხან დააღონებდა, ხან აღაფრთოვანებდა ჩვენს სერიოჟას. ორი თვის შემდეგ ის უნდა გამოთხოვებოდა დედას, მეგობრებს და ამ უდარდელ ცხოვრებას.

V

გაზაფხულის პაპანაქება სიცხეში ბაბოს სახლის განიერ აივანზე რამდენიმე სოფლელი

ქალი გულდასმით მიდგომოდა საკერავს — ბევრი თეთრეული დაემზადებინათ, მარა საკერავი ისევ ბლომათ დარჩენოდათ. სიგრილისთვის ფანჯრები დაეღოთ. შუა დღე იყო. ბაბო მკერავების ახლო იჯდა და განკარგულებას იძლეოდა.

— ოცი პლატოკი, მგონი, საკმაო იქნებაბ?.. ოციოდ წყვილი საცვალიც ეყოფა — ამბობდა კნეინა.

— როგორ არა ქალბატონო! — უპასუხებდა ერთი მკერავთაგანი.

— არც ეს იყო საჭირო, რადგან სამხედრო სასწავლებელში ყოველიფერი სახელმწიფო ხარჯზეა, მარა სერიოჟას მეტი სხვა რა გამაჩნია! თავის ტოლ-ამხანაგებში ის ყოველთვის გამორჩეული იყო და რუსეთშიაც ასე მინდა რო იქნეს! — ეუბნებოდა ბაბო მკერავ ქალებს, რომლებიც ყოველ მის ნათქვამს დასძენდენ;

— რასაკვირველია, კნეინა ბატონო! — ან — არ შეფერის მის გვარიშვილობას, თუ? — ან და — მართალს ბრძანებთ, კნეინა ბატონო? —

სერიოჟას ამ დროს გამოღვიძებოდა. ტანთ ჩაეცვა აბრეშუმის თეთრი ახალოხი, საზაფხულო თეთრი ჩოხა და ფეხებზე თეთრივე წვეტიანი მესტები. წელზე დაეკიდნა კოპწაია ტარ მოვეცხლული ხანჯალი. როცა თავზე დიდი ბოხოხის ქუდი დაიხურა და აივანზე გავიდა, ვეფხის ტყაოსნის გმირს გავდა. მის დანახვაზე ერთმა მკერავ ქალთაგანმა, ასე ოცდა რვა წლის ქალმა, გულში რაღაც ინატრა.

— კოწია! გასძახა სერიოჟამ მოურავს, ცხენი ამ წუთში აქ მომგვარე, შეკაზმული. სასეირნოთ მივდივარ ჭალისკენ! —

— სიჩას, ბნიაზ! —

ელვასავით გადაევლო თავს ჩვენი გმირი ახალ გახედნილ გიშერივით შავ ცხენს, რომელიც ერთი მათრახის დაკვრით გაგიჟდა და ყალყზე შედგა. სერიოჟას ძლიერ უყვარდა ცხენის წვალება. დიდ სიამოვნებას გრძნობ და ის, როცა გაფიცხებული ცხენი ოხვრასდა ფშვინვას იწყებდა.

— ჰოოპ! — შესძახა მან თავის მერანს და ეზო ქარიკით გადაარბენინა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან ჩაუარა სოფელს და დაადგა ერთს შარა გზას, რომლის ნაპირებზე ეთესა უკვე დატაროებული სიმიდი. სერიოჟამ ცხენი შეანელა და რაღაცაზე ღრმათ ჩაფიქრდა. ამ ბოლო ხანებში ის ხშირათ უფიქრდებოდა თავის ბრწყინვალე მომავალს და ახლაც ეს გაახსენდა.

— კი... კარგია, აფიცრობა! ამბობდა სერიოჟა თავის გულში, — კარგია მარა, რამდენი აფიცერი მინახავს, ისე მოკვდა, თითქო უბრალო ვინმეო! რამეთი მაინც უნდა გამოიჩინო თავი ან ომში, ან რამე საგმირო საქმეში თორემ, ისე რის მეომარი ხარ?! —

სერიოჟას ამ დროს გაახსენდა რუსეთ — იაპონიის ომი და გულში წყენით თქვა.

— ეს ოხერი! ჩემი აფიცრობის დროს რომ დაწყებულიყო, მე ვიცოდიო! —

— რას ვიზამდი, ნეტავი, მართლა ასე რომ მოეხთარიყოვო. გაიფიქრა სერიოჟამ

— რას ვიზამდი და რომ ვიშიშვლებდი ხმალს შურდულივით შევარდებოდი მტრის ბანაკში და ნაკუწ-ნაკუწათ ვაქცევდი რამდენიმე იაპონელსო — ჩაილაპარაკა მან უკვე ხმით და თვალის წინ მანჯურიის ველები წარმოუდგა. გადახედა სიმიდებს და თქვა: — მტრის რიცხვიც ამაზე ნაკლები როდი იქნებოდაო! —

ბრძოლის ფანტაზიამ სერიოჟა ისე შორს გაიტაცა, რომ ამ ქვეყნის სინამდვილე სრულიათ დაავიწყა. მისი ცნობა ამ დროს ძნელი იყო. შუბლი შეჭმუხნოდა. წარბები დაეწკურა და თვალები გადმოცვენას უპირებდენ.

ერთ წუთში ცხენს მათრახი მოხვდა, ხანჯალმა მზის სხივებზე გაიელვა და სერიოჟა იქ აღარ იყო. ცხენი მიქროდა ყანის პირას და გაშმაგებული მხედარი მუსრს ავლებდა დატაროებულ სიმიდებს. შუაზე გადაჭრილი სიმიდი შრიალ — ხმაურობით წვებოდა მიწაზე. ბასრი ხანჯალი ერთი შემოკვრით ორღერს ერთათ ჭრიდა და ეს გარემოებაც იყო იმის მიზეზი, რომ სერიოჟა თანდათან შედიოდა მეომრის როლში.

ამ ხმაურობაზე ყანიდან შარაზე გამოვიდა გლეხი, რომელიც რწყავდა იქაურობას,

დაქანცული და თან გულ შემოყრილი ის დაეყუდა თოხს და სასოწარკვეთილმა თქვა:

— ოი ქრისტემ დაგწყევლოს! დამღუპა, დამაქცია! კი არ ამომაგდო კაცი ამ ოხრის შვილმა?!. —

მარა ეს მწარე სიტყვები არ სმენია სერიოჟას. ის გაშმაგებით ებრძოდა მტრებს, რომლებიც ძლეულნი მიწაზე ეფინებოდენ.

(დასასრული იქნება.)

ივ. ი.—ანი

საყოველთაო გეგმა.[1]

(საამდროისო).

ყველგან, საცა კი პარტიებ ნამდვილი ინტერესების შეურიგებელმა წინააღმდეგობამ დაბადა, ახლანდელმა ომმა ყველა მებრძოლი პარტიები მოარიგა, ერთს უღელში გააბა, ერთს საქმეს ამსახურა. მარტო ჩვენში, და მარტო იმ მიზეზით, რომ პარტიები, ერის საჭიროებას კი არა, ცალიერს მიმბაძაობას დაუარსებია, არ იქნა, ვერ შევიგნეთ საერთო გასაჭირი, ვერ შეგვიწყვეტია ურთიერთი ქიშპობა და ბრძოლა. ეს, რასაკვირველია, ხალხზე კი არ ითქმის, რომელიც შეურყევლათ დგას მამაპაპურ ნიადაგზე,—მარტო ინტელიგენციას შეეხება, საფანტივით დაბნეულს სხვა-და სხვა პარტიებათ. ესენი თავ-თავის დაუჯდომლებს უწინდლურათ შეუცვლელათ ბურტყულობენ, თითქო ქვეყანაზე არარა მომხდარიყოს ახალი, დამაფიქრებელი, საჭირვარამო.

ჩვენი ქვეყნის გონებრივ ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი-კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდამ მოყვანილ ძიძებს ვაბარივართ. ისინიც ხშირათ თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას. მინაურობა როდი რამეს გვინერგავს შემდეგი სწავლის მიზნათ და საფუძვლათ. უვიცნი, უზრდელნი შევყავართ სასწავლებელში, სადაც მკვდარი ენების ზეპირება თავს გვაბეზრებს და გვირეტებს. გვიშობენ იქიდან არაფრის მცოდნეთ, ყველაფრის მდომთ. ხარბათ ვეწაფებით ქვეყნის საიდუმლოების ახსნას. ვხედავთ, ერთის მხრით, უზომო ჯაფის მომთხოვ მეცნიერებას, რომელიც ერთ საკითხს რომ აგვიხსნის, მაგიერათ სამს ახალს, ბევრათ უფრო თავის სამტვრევს წინ გვიყენებს. მეორეს მხრით, სდგას მწერლობა, რომელიც ერთს წუთში მცოდნეს და უმეცარს ყველაფერს უხსნის, ადვილათ, ნათლათ, იგავით, არაკით, სიმბოლოთი. რაღა თქმა უნდა, ძნელს ადვილი სძლევს: მივყვებით იგავ-არაკს. ბევრი ჭაღარა გვეზდება, სანამ ცხოვრება გაგვაგებინებდეს, რომ ჩვენს არაკულ ახსნას არავითარი მსგავსება არ ქონია სინამდვილესთან, და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან, რომ ზღაპარი, ოცნება, არათუ გამოუდეგარი, დამღუპველიც ყოფილა ჩვენი ერისთვის. ამ ერის შველა, თურმე, ერთობ რთული საქმეა, ბაირაღების აფრიალებით ვერ ხერხდება, ხანგრძლივ, მრავალმხროვანს მეცნიერულ მზადებას თხოულობს...

ერთი თაობა რომ ამას იგნებს მწარე გამოცდილებით, მეორე, ახალი, ისევ ძველი გზით ძველ შეცთომებს იმეორებს, ისლანდიელ ლათაიებს ზეპირობს, ირლანდიელ მელოდიებს მღერის, სანამ საკუთარი ცდით არ გაიცნობს ადვილათ ნასწავლი ფორმულების ამაოებას. ასე ჩვენი ინტელიგენციის სხვა-და-სხვა მოდგმა, ყველა ცალ-ცალკე, ტრიალა გალიაში ჩამწყვდეულ თრითინასავით ნიადაგ ერთ და იმავე წერტილზე ფხაკურობს, საბრალოს კი

*) დაპირებული სტატია ჩვენი მხცოვანი პუბლიცისტისა ამ ნუმრისთვის ვერ მოესწრო და შემდეგისთვის დაისტამბება. რედაქცია.

გონია, ვითომ მიუწვდომელი სისწრაფით წინ მიხტის.

ეს მდგომარეობა მით უფრო საზარელია, რომ თან-და-თან აშკარავდება ამ ინტელიგენციის ძიძების, თუ სიყალბე არა, სისუსტე მაინც. ერთი მოსკოველი მეცნიერი, პსიხიატრი რიბაკოვი, იძულებულიც გახდა იმის მტკიცება დაეწყო, რომ უმეტესი ნაწილი იმ მწერლებისა, ვისზედაც ლოცულობს ახლანდელი ინტელიგენცია, სულით ავათმყოფი არისო*). ეს, რასაკვირველია, მიკარგია. შეშლილების მკურნალს ყოველი ადამიანი გადარეული გონია, როგორც პროკურორს ყველა დამნაშავეთ მიაჩნია. ნამდვილი-კი ისა, რომ უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედა-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებას და საჭიროებას ვერ გაგაცნობს.

ამ მიზეზით არის, თუ სხვით, ვერ მოხერხდა ჩვენში საერთო პლატფორმის შედგენა მოწინავე წრეებისთვის. თითოული ჩვენგანი ცალკე გარბის, თვითონაც არ იცის, საითკენ და რის იმედით. პარტიები, გასაჭირის დღესაც, უფრო იმაზე მეცადინეობენ, თუ შინაურ მოპირდაპირეს, როგორ მოტეხონ კისერი, ვინემ გარეშე მტრის მოგერებაზე. ერთობა მარტო ენაზე აკრავთ, და არა ძარღვებში აქვთ გამჯდარი. რატომ? გასაყოფი რა გვაქვს? ვის რა გვაბადია, რომ ერთის წახდენით მეორე გაკეთდეს? საშოვარი, თუ რამეა, ჩვენს ხელში ხომ არ არის, რომ ერთმანეთს ვწეწავთ? ან საშრომი, სავაკაცო, სასახელო ცოტაა განა ჩვენში, ყველას არ ეყოფა, თუ? ამ კითხვებს ვინ უფიქრდება! გაგვიზებირებია უცხო შაირები, და ვინც ბანს ვერ გვაძლევს ქვეყნის მოღალატეთ მიგვაჩნია. რამე რომ მხურვალეთ გვიყვარდეს, მის სასიკეთოთ მეცადინე ვიქნებოდით მტერი მოყვარეთ გვექცია. ახლა-კი მარტო იმას ვცდილობთ, რომ მკვიდრი ძმა მტრათ გავიხადოთ, მარტო იმისთვის, რომ სხვა კილოზე ღიღინობსო.

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა სულ სხვანაირ ძალისწყობას თხოულობს. მართალია, ბევრი რამ ეღობება წინ ამ საქმეს. მარა, თუ უცხო ედემის ერთბაშათ და ერთიანათ გადმორგვა ჩვენში მოუხერხებელია, ბევრი მცენარე, ცხოველი, იარაღი და მოწყობილება გადმოიტანება ცალ-ცალკე და ნელ-ნელა. დედა-მიწაზე არც ერთი მხარე არ გაბედნიერებულა ერთ წუთში, ერთი თვალის დახამხამებით. ზრდა ყველაფრისა, რაც-კი იზრდება, ნელი და შეუმჩნეველია. ასეთივეა მატერიალური, ზნეობრივი და პოლიტიკური ზრდა ყოველი ერისა. ჩვენს კერძო და საზოგადო ცხოვრებაში ბევრი რამ გვაკლია ისეთი, რაც განათლებულ ქვეყნებში ადამიანის ბედს აშვენებს და ამაღლებს. ამ დანაკლისის უმეტესი ნაწილების შემოტანას ჩვენში და გახარებას ვერა ვინ დაგვიშლის. როცა ეს უმეტესი ნაწილი ჩვენში შემოიღება და ფესვს გაიმაგრებს, დანარჩენის გადმოზიდვა ამით გაადვილდება, და არ გაძნელდება. თუ ამ „დანარჩენზე", ესე იგი, მის ჩვენში გადმორგვაზე, ჩვენ სხვა-და-სხვა შეხედულობისა ვართ, იმ უმეტეს ნაწილზე ხომ ყველა განურჩევლათ ვეთანხმებით ერთმანეთს და ერთი შეხედულობისა ვართ? მაშ, რატომ ყველა ერთნაირათ არ ვიდგამთ წინ გეგმას—რაც შეიძლება მეტი გადმოვრგათ იმ სიკეთეთაგან, რომელიც ევროპის ცხოვრებას აბრწყინებს და აბედნიერებენ. ოცნება—კი არა, რეალური საგნები, წესები, წყობილობა ვიქონიოთ მიზნათ, რაც ნაცადი და გახორციელებულია მოწი-

*) ნახეთ Ѳ. Е. Рыбаковъ. Современные писатели и больные нервы. Психіатрическій этюдъ. Москва, 1908.

ნავე ქვეყნებში და იმ გზას ნუ ავშორდებით, რომლითაც ეს იქ გახორციელდა. აი, ყოვლად სადა, უბრალო, უდავო, ყველასთვის გასაგები პროგრამა, არავისთვის სავნები, ყველასთვის სარგო. მისი ხმარება ყველას შეუძლია ერთათ, და ცალ-ცალკე: კერძო პირს, ამხანაგობას, ჯგუფს, პარტიას, ეროვნებას, სახელმწიფოს, თითოეულს თავის ღონის, თუ ქონების ფარგალში. საანგარიშო ყველას მარტო ის ექნება, თუ რისი გადმოტანა რა დაჯდება, რა საშუალებას მოითხოვს, ვისი სახელდახელოა? ყველას ხელს აძლევს ამგვარი მუშაობა სამშობლოს წინსვლისთვის. და, თუ ვისმე ის მცირედათ მიაჩნდება, ნეტა, ვინ უშლის უალრესი ბედნიერების გახორციელებას, თუ მართლა ღონე უჭრის?

ნ. ნიკოლაძე.

მოგზაურობა

რაჭა-ლეჩხუმში.

1902 და 1903 წლების ზაფხულის თვეები, სამსახურის გამო, უნდა გამეტარებია რაჭაში და ეს დრო მინდოდა არ ყოფილიყო უნაყოფოთ დაკარგული. რადგან დავრწმუნდი, რომ საქართველოს ამ მივარდნილ კუთხის სიძველენი ძალიან ნაკლებ არის ცნობილი, მე განვიზრახე შემომეკლო რაჭა-ლეჩხუმი და, რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა ჩემთვის, ამეწერა ის საისტორიო ნაშთები, რომელიც გადაურჩა დროთა ვითარებას და ჩვენს შეუგნებლობა-დაუდევრობას.

მართალია, რაჭის მხარეში უმოუგზაურნიათ ისეთ სპეციალისტ-არხეოლოგებს, როგორნიც არიან და იყვენ მარი ბროსე, კონდაკოვი, ბაქრაძე და გრაფინია უვაროვისა, მარა, სამწუხაროთ, მათი არქეოლოგიური ექსპედიციები გასაზღვრულან მხოლოთ იმ რამდენიმე ეკლესიების ნახვით, რომელიც ცნობილი იყო თავის არქეოლოგიურ ნაშთებით. რაც შეეხება დანარჩენ სოფლების სიძველეთ, მათთვის არავის მიუქცევია ყურათღება. ზემო დასახელებულ სპეციალისტების გასამართლებლათ სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ მათ დროც არ ექნებოდათ დაეკლოთ ყველა სოფლები ისტორიულ ნაშთების საძებნელათ. ჩვენ შორის არ აღმოჩენილა შეგნებული ვინმე, რომელიც გამსჭვალულ იყო წარსულის შესწავლის სურვილით, მიექციოს ყურათღება იმათ აღწერისთვის და რიგიანათ შენახვისთვის.

ვგონებ, საჭიროა არ უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ ვეკლესიებში დარჩენილ ძველ ნაშთებს [illegible] დიდი მნიშვნელობა აქვს. რომ მათი შესწავლა და შენახვა ჩვენთვის, თუ კი გვინდა შევირჩინოთ ეროვნული ელფერი, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, — რომ ამას მოითხოვს, როგორც ჩვენი, ისე მეცნიერების ინტერესები. ევროპის მეცნიერ-ორიენტალისტები (ჟან სენ მარტენი, დიუბუა დემონპერე და ვივიან სენ მარტენი) საქართველოს მწერლობით ნაშთებს თვლიან დიდ მნიშვნელოვან და ყოვლათ საჭირო მასალებათ, არა მარტო საქართველოს წარსულის შესასწავლათ, არამედ აზიის ისტორიისთვისაც[1]).

[1]) დ. ბაქრაძე. Археологическое путешествіе по Гуріи и Ачарѣ, გვ. XV საქართველოს ქონდა მნიშვნელობა არა მარტო აზიის ისტორიისთვის. მან წარსულში დიდი სამსახური გაუწია ევროპასაც. მძლავრ აღმოსავლეთის მამადიანობამ თვისი ენერგია და ფანატიზმი შეალია პატარა საქართველოს უძლეველ მკერდს. საქართველომ შეაყენა მახმადიანობა და ამით შეასრულა თვისი ისტორიული მისი რუსეთის და საზოგადოთ ევროპის ქრისტიანების წინაშე. ევროპა და რუსეთი, ეგვ. მარკოვის თქმით, ამაში არ აძლევენ თავიანთ თავს ანგარიშს. უმადურობას იჩენენ და არ აფა; სებენ საქართველოს ამ დიად ღვაწლს (ევ. მარკოვი. Очерки Кавказа, გვ. 209—211. პეტერბ. 1887 წ.) პეტრე დელავალე თავის 1625 წლის მოხსენებაში, აი, რას წერდა პაპა ურბანო მერვეს: ქართველები მუდამ ებრძვიან ქრისტიანობის ყოვლათ ძლიერ მტრებს სპარსელებს და ოსმალებს სარწმუნოების დაცვისთვის. მტრებს არა ერთხელ ამოუწყვიტეს ერთიანათ მხედრობაო, ამიტომ რომის ეკლესია დიდათ დავალდებულია

უნდა გამოვტყდეთ, რომ საღვდელოება, რომელიც უნდა ყოფილიყო ეკლესიებში დაცულ ნივთების მომვლელ-შემნახველი,-რომლის ზნეობრივ მოვალეობას ეს შეადგენდა, არ იყო იმდენათ შეგნებული, რომ ცოდნოდა ამ სიძველეთა მნიშვნელობა და ეზრუნა მათი რიგიანათ შენახვისთვის. ამ დაუდევრობა-შეუგნებლობას მრავალი ძვირფასი საისტორიო ნაშთები დაუკარგავს. ამის დასასაბუთებლათ მოვიტან რამდენიმე მაგალითს ჰელიშის საისტორიო ნივთთა თავგადასავლიდან.

ᲰᲔᲨᲚᲘᲨᲘᲡ სიძველენი (საეკლესიო ნივთები, შესამოსლები და ხელთნაწერები) 1902 წელს ამ სტრიქონების დამწერმა ნახა ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ყველა ეს მიყრილი იყო კუთხეში და სინესტისგან მეტათ დაზიანებულიყო. მონასტრის წინამძღვრებს არ ესმოდათ მათი მნიშვნელობა და არ აქცევდენ მათ ჯეროვან ყურათღებას. ბევრი მათგანი, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, სამუდამოთ დაკარგულა მონასტრის ძმათა დაუდევრობისგამო. მაგალითათ, მონასტრის ქონებათა აღწერილობაში ბოხსენებულია: „ქრონიკები უყდო“, „სვინაქსარი“ და „სიტყვანი და მოძღვრებანი იოანე დამასკელისა“ და თითოული მათგანის პირდაპირ მიწერილია რუსულათ, არ აღმოჩნდაო. ეს შენიშვნა ეკუთვნის იმ კომისიას, რომელსაც, სასინოდო კანტორის მონდობილობით, იმერეთის მონასტრების ქონება შეუმოწმებია 1879 წელს1)

საკვირველია, როგორ გადურჩა განადგურება-დაკარგვას ისიც, რაც ახლა ინახება მონასტერში, როდესაც დროთა ვითარებამ უდაბნოს მოუვლინა იმნაირი მმართველნი, რომელთაც ისიც არ იცოდენ, იყო თუ არა უდაბნოს სალაროში რაიმე სიძველე და ხელთნაწერნი. მონასტრის არხივი გვაძლევს ამ სამწუხარო მოვლენის საბუთებს. 1864 წ. ნეტარ-ხსენებული ყ-დ სამღვდელო გაბრიელმა მოთხოვა ჰელიშის უდაბნოს წინამძღვარს წარედგინა მისთვის დაწვრილებით ცნობები ხელთ ნაწერების შესახებ[2]), მაგრამ მონასტრის უფროსმა წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც არწმუნებდა ღვდელმთავარს, რომ მისდამი რწმუნებულ უდაბნოში არ მოიპოვება არავითარი ხელთნაწერი3). 1876 წელსაც განმეორებულ იქნა მოთხოვნილება ხელთნაწერებზე ცნობების წარმოდგენის შესახებ 4), რომელსაც მოყვა სიტყვა-სიტყვით იმნაირივე მოხსენება, როგორც 1864 წ.[5]). რა უნდა მოვთხოვოთ მონასტრის იმნაირ მმართველს, რომელსაც 1864 წლიდან 1876 წლამდის, მიუხედავათ მთავროობის მოთხოვნილებისა, ვერ შეუნიშნავს, რომ მისდამი რწმუნებულ უდაბნოში მოიპოვებოდა ხელნაწერები?

ამის შემდეგ, ვგონებ, საჭირო არც კი უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ სამრევლო ეკლესიებში დარჩენილ სიძველეთ დაცვა-შენახვის საქმე ცუდ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. გვაქვს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ისტორიული საბუთი იმის შესახებ, რომ ჰელიშის მონასტრიდან, როდესაც, იქ, მისი მტერთაგან აოხრების შემდეგ, დროებით თითქმის შეწყდა მონაზვნური მოღვაწეობა, იქაურ ძველ და ძვირფას ხატებს დამცველპატრონებათ გამოსჩენია სოფ. ხონჭიორის მცხოვრებნი. ჰელიშის ხატები, რიცხვით თორმეტი,—მათ გადაუტანიათ თავიანთ ეკლესიაში. ამ ხატებიდან ჩვენს დრომდი მოუწევია მხოლოთ რვას, ოთხი კი უკვალოთ დაკარგულა. თუ ამნაირი ბედი ეწია ძველის-ძველ და ხალხისგან დიდათ სათაყვანებელ ხატებს, თუ მათ შენახვისთვის არ უზრუნვია საღვდელოებას, ხელნაწერებზე რაღა უნდა ითქვას. მათ უმე-

1) მონასტრის არხივი 1879 წ.

ქართველებისგან რომელნიც ღირსნი არიან... შემწეობა აღმოუჩინოთო“ (მ. თამარაშვილი ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...“ თფილისი 1902 წ. გვ. 88).

2) იქვე. მიწერილობა 29 თებერვლიდან 1864 წ. № 854.

3) იმერეთის საეპ. კანცელარიის არხივი. მოხსენება 22 მარტ. 1864 წ. № 27.

4) მონატსრის არხივი,—მიწერილობა 13 დეკ. 1876 წ. № 4296.

5) იმერ. საეპ. ვანც. არხივი. მოხსენება № 41 —1876 წ.

ტეს ნაწილათ უყურებდენ, როგორც გამოუსადეგარ, გადასაყარ ნივთებს. ამ შეუგნებლობის ბრალი იყო ის გარემოება, რომ ღვდლები ხშირათ ძველ შესამოსლებს და ხელნაწერებს ცეცხლში ანადგურებდენ, რომ თავიდან აეცილებიათ მთავრობის საყვედური მათი არა რიგიანათ შენახვისთვის 1).

ძველ ხელთნაწერებში საღვდელოება არ საჭიროებდა, რადგან ეკლესიაში იხმარებოდა ნაბეჭდი წიგნები 2). მართალია, ვრცელდებოდა მხოლოთ საღვდელთმომქმედო წიგნები, ხოლო მამათა ნაწარმოებნი, მათი ცხოვრება, საღვთისმეტყველო შინარსის წიგნები ისევ ხელთნაწერებათ იყო მონასტერ-ეკლესიებში, მარა ამნაირი შინაარსის წიგნები ახალი რეჟიმის დროს არავის უნდოდა. საღვდელოება განათლების მხრივ ჩამოქვეითდა და ამნაირი შინაარსის წიგნების კითხვის საჭიროებას არ გრძნობდა. ახალმა დრომ მას წაართვა სამშობლო ენაზე საღვთისმეტყველო წიგნების კითხვის უნარი. მთავრობა ქართულის ცოდნას ცოდნათ არ თვლიდა. ქართული მწიგნობარი წერა-კითხვის მცოდნეთ არ ითვლებოდა, ქართულ ხელის მოწერასაც არ ღებულობდენ მთავრობის დაწესებულებებში. 3) და აბა, ქართული საღვთისმეტყველო წიგნები ვის რათ ენდომებოდა. შემდეგ დროებში სასწავლებლებმა სულ გადააჩვია საღვდელოება მათს კითხვას.

ამნაირი მიზეზების გამო, ჰელიშის მონასტერი, რასაკვირველია, გამონაკლისს არ შეადგნდა საისტორიო სიძველეთათვის უდიერათ მოპყრობაში. ამნაირ სამწუხარო მოვლენას ქონდა ადგილი არა მარტო რაჭის მხარეში. ამნაირივე შეუგნებლობა-დაუდევრობა სუფევდა მთელ საქართველოში. კათალიკოზ ევთვიმე საყვარელიძისგან შედგენილი სრული სვინაქსარი მე-XIX საუკუნის დასაწყისში გელათის წიგნთსაცავში ყოფილა 12 წიგნათ; 1890 წლამდის მოუღწევია მხოლოთ ცხრას, 1896 წელს დარჩენილა მხოლოთ შვიდი წიგნი. 1902 წელს კი აღმოჩენილა მხოლოთ ხუთი 5). ბ. თ. ჟორდანიას თქმით, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი ჭრიდენ ფურცლებს ჯუმათის ძველის ძველ ტყავზე ნაწერ წიგნებიდან და ხმარობდენ წიგნების შესაყდავებელ მასალათ 6). ერთი გელათში ნასწავლ ღვდლისგან გამიგონია, რომ ზოგიერთი მონასტრის შეგიერდები, — საღვდელო კანდიდატები, ტყავის ხელთნაწერ ფოლიანტებიდან პაიჭ-ქალაბნებსაც კი იკერავდენ. 7)- ამნაირი დაუდევრობა-შეუგნებლობა ახლაც

1) როგორც გამიგონია, ამნაირი შიშის ასაცილებლათ დაუწვავთ ილორის ეკლესიის ხელთნაწერები და შესამოსლები. 1890 წ. ბ. თ. ჟორდანიას ბაგრატის ეკლესიის შტოში, სადაც პატარა ეკლესიაა დღეს, იმ ტაძრის ერთ კუნჭულში შეუნიშნავს ორი არშინის სიმაღლე ნაგავი, ალბათ, დასაწვავათ გამზადებული ნაგავიდან მოჩანდა, თურმე, წიგნის ყდის ყური. ამოუთხრია იქიდან და რა აღმოჩენილა? ორი ვებერთელა თითო ფუთიანი ხელთნაწერი—სახარების განმარტება ეფრემ მცირისა (ქრონ. II, გვ. 36—38). აქვე უპოვნია ხუთი სხვა წვრილი ხელთნაწერი. ეს ხელთნაწერები ეპ. გაბრიელს გადაუცია გელათის მონასტრის წინამძღვრისთვის მონასტერში დასაცავათ. 1904 წელს კი ხუთი წვრილი ხელთნაწერი უნახავს ბ. ჟორდანიას. ხოლო ის ორი დიდი ხელნაწერი გრიგოლ ბერს წაუღია კაცხში, მაგრამ 1910 წ. კაცხშიაც არ აღმოჩენილან (ჟურ. „განთიადი“ №1, გვ. 255—257. სხოლიო).

2) საუბედუროთ, ახლა ნაბეჭდი წიგნების შოვნაც შეუძლებელი გახდა („შინ. საქმეები“ 1914 წ. № 3, გვ. 8), რადგან საეკლესიო საქმეებში ჩვენ ინიციატივა წართმეული გვაქვს. ხოლო ისინი, ვისაც ბედმა არგუნა ჩვენი ეკლესიის მართვა, ამაზე ძალიან ნაკლებ ზრუნავენ.

3) ამ სტრიქონების დამწერი ერთხელ მოწმე გახდა იმისი, რომ სოხუმის ხაზინაში ქართული ხელის მოწერა არ უყაბულეს ერთ რუსული წერის უცოდინარ ღვდელს (ივანე წივწივაძეს) და, მის მაგიერ, სხვას მოაწერინეს ხელი.

5) ჟურ. „განთიადი“ 1913 წ. №1, გვ. 255, ხოლიო.

6) თ. ჟორდანია. Описаніе рукописей Тиф. Цер. Музеи. ნაწ. II, გვ. 181—182.

7) ღვ. მიხ. ასათიანის ნაამბობი ამ თუთხმეტი წლის წინათ.

თანგვდეს. საუბედუროთ, ჯერ კიდევ ჯარგათ არ შეკვიგნია მნიშვნელობა საისტორიო მასალების შეგროვებისა და ჩვენი ისტორიის შესწავლის აუცილებლობისა 8). ამისათვის არ შეგვიძლია გავამტყუნოთ პანტიუხოვი, როდესაც ამბობს, რომ ყველა კავკასიელების თვისებას შეადგენს გასაცვიფრებელი გულგრილობა ყველა იმის შესახებ, რაც მისთვის ამ წუთშივე არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას 1)

რამდენი საისტორიო ნივთები და ძველი ხელთნაწერები განადგურებულა სპარს-ოსმალთაგან, რამდენი ტანჯვა გამოუვლია ქართველ ერთან ერთათ ისტორიულ ნაშთებს არა ქრისტიან მტერთა საქართველოში ბატონობის დროს, რამდენი ეკლესია, -სიძველენი მიუსაკუთრებიათ საქართველოში შემოხიზნულ სომხებს მე XIX საუკუნემდე 2), რა ბედი ეწია ხელთნაწერებს და გუჯარ-სიგელებს სამცხე-საათაბაგოში მის ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ 3), ყველა ამაებზე აქ არას ვიტყვი,

8) „შინ, საქმების“ უკანასკნელ ნუმერში მოთხრობილია, რომ ერთ მებრილიანტე იოსებ გვეტაძეს ვიღაც ოვადიშვილისგან შეუძენია ნაწილებიანი ქართული ხელოვნების ოქროს ხატი, რომელიც წარმოადგენს მინიატურული სახარების ბუდეს, თუმცა სახარება ახლა შიგ აღარ არის. „ეს ძვირფასი განძი თურმე, ხშირად ყოფილა დაგირავებული ურიებთანაც („შინ საქმეები.“ 1914 წ. № 6, გვ. 16).

1. დ-რ. პანტრიუხოვი. [illegible] и его окрестности გვ. 49.

2. პლ. იოსელიანის [illegible] საუკუნემდე თფილისში არ ქონიათ საკუთარი ეკლესიები ვახუშტის დროს კი მათ ხელში გადასული ყოფილა შვიდი მართლმადიდებელი ეკლესია. პლ. იოსელიანი. Описаніе древностей гор. Тифлиса, გვ. 232—233 და „Ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა გვ. 54). XVIII საუკუნეში თფილისის გარეთაც დაუტერიათ რამდენიმე ეკლესია (ვახუშტი. Description geographique de la Geogie, გვ. 13 და პლ. იოსელიანი. Описаніе древностей г. Тифлиса გვ. 261).

3) მე-XVIII საუკუნის დამდეგს ოსმალებმა ქართველების ძველი სიგელ-გუჯრები. ბაუქმებულათ გაგაცვალეს და მოთხოვეს მათი წარდგენა, რომ მათ მაგიერათ მიეცათ ახალი საბუთები. მამულებზე უფლების დაკარგვის შიშით ყველამ წარუდგინა ოსმალეთის მთავრობას ძველი და ახალი სიგელ-გუჯრები. ამ სტამბოლში გადატანილ საბუთებში, როგორც გვარწმუებენ, ბევრი ეკუთვნოდა VIII—XI საუკუნეს. ზ. ჭიჭინაძე. ისტორია ხურსიძის გვარისა. და 'მოთა რუსთველი გვ. 45 და 83 ტფ. 1904 წ.

რადგან ეს არც გასაკვირველი უნდა ყოფილიყო. გასაცვიფრებელი ის არის, რაც ამხრივ დაემარცა საქართველოს მე XIX საუკუნის განმავლობაში, როდესაც მძლავრ ერთმორწმუნე სახელმწიფოს საფარველს ქვეშ ყოფნის რდოს, მხოლოთ ერთ საუკუნეში, დავკარგეთ იმდენი, რამდენიც საფიქრელებია მონგოლ ოსმალ-სპარსელების დროს მთელ 6—7 საუკუნის გაემავლობაში არ დაგვიკარგავს!

„სახალხო გაზეთის“ ერთ-ერთ შარშანდელ ნუმერთაგანში მოთავსებული იყო. ბ. სანგანიძის წერილი სათაურით: „მოვიფშვნიტოთ თვალები!“ აქ ნათქვამია, რომ სოფ. ატენის სიონის ძველის ძველს ტაძრიდან ვიღაც შეარაღებულმა ბოროტ გამზრახველებმა გაიტაცეს იშვიათ ჩუქურთმიანი ქვა. გამოუცხადეს მამასახლისს, მარა ბოროტ-გამზრახველთა კვალს ვერ მიაგნესო. ავტორი სამართლიანის გულისწყრომით მოგვითხრობს სოფლელთა მწუხარებაზე ამის შესახებ და, საზოგადოთ, ჩვენს დაუდევრობაზე. გამორკვეულა, რომ ქვა წაუღიათ სომხებს, რომელთაც სურთ ჩვენს კულტურულ ნაშთებზე ააგონ და დააფუძნონ თავიანთი წარსული ისტორია 4)

4) „სახ გაზ.“ 1913 წ. №1056. ძველ ნაშთების მითვისებაში, მათ ფაბრიკაციაში, ე. ი. ახალის ძველათ გადაქმნაში ჩვენი მეზობლები ყოველთვის ყოფილან, თურმე, დახელოვნებულნი. ამის შესახებ ცნობები მოყვანილი აქვთ: ეპ. კირიონს (“культур. роль Иверіи въ исторіи руси გვ. 370 და 371), მ. თამარაშვილს („პასუხათ სომხის მწერლებს. გვ. 89—91, 100—101. ტფ. 1904 წ.), სადაც მოყვანილია ამის შესახებ სენ მარტენის აზრი; ეპ. პორფირის (книга моего бытія 71, 597 და სხ.

იმავე გაზეთში ბ. Legatus მოგვითხრობს რომ ერთ სომეხ-, გვარათ მდივანიანცს, უნდოდა, თურმე, მოეტაცება ოქრონის ღვთაების ხატისა. მარა ღვდელს თადეოზ მგელაშვილს და სოფლელებს დაუჭერიათ იგი, უცემნიათ, კანცელარიაში დაუმწყვდევიათ და სტატიის ავტორისთვის უთხოვნიათ დასწრებოდა ოქმის შედგენას. მდივანიანცის თავხედობა იქამდის მისულა, რომ ამ შეურაცყოფის მიღების შემდეგ ბ. Legatus-ისთვის უძლევია ხატის ფასათ

400 მანათი. მოფლელები ამას მეტათ აუღ-ლვებია [5]).

ამ შემთხვევებში ისიც სანუგეშოთ უნდა ჩაითვალოს, რომ სოფლელებს შეუგნიათ მნიშვნელობა კულტურულ საისტორიო ნაშთებისა, რომ ამ მტაცებლობას მათში დიდი მწუხარება გამოუწვევია. ეს გამოღვიძების ნიშანი უნდა იყოს; უწინ ესეც არ გვესმოდა...

XIX საუკ. განმავლობაში მრავალი საისტორიო ნივთები და ეკლესიები დაგვიკარგავს, მარა ამას ჩვენში პროტესტი არ გამოუწვევია. ბევრი თქმულა და დაწერილა იმ ეკლესიების შესახებ, რომელიც მიუსაკუთრებიათ სომხებს [1]), მაგრამ ჩვენი ინტერესების დამცველი არავინ აღმოჩნდა; პირიქით, პოლიკარიმათ ეხმარებოდა ამ შემთხვევებში [2]). იმის მისაღწევათ, რომ ამ ეკლესიებს ქართველები არ შესცილებოდათ, ქართულ წარწერებს ბარბაროსულათ ანადგურებდენ [3]). ხშირათ ეკლესიასთან ერთათ ქართული მრავლიც სომხების საკუთრებათ ხდებოდა [4]). მათ ხელში ჩავარდნილ ქართველებს იმედი დაკარგვიათ, მათი ხელიდან თავის დაღწევისა და მისთვის მათში დაბადებულა აზრი კათოლიკობის დატოვებისა და სხვა სარწმუნოებაზე გადასვლისა [5]). საქმე იქამდის მიდის, რომ ეს ჩვენი მეზობლები არამც

5. „სახ. გაზეთი“ 1914 წ. № 1092.

1) Церк. Вопросы въ Россіи გვ. 197 ბრაილა 1896 წ.; ეპ. კირიონი. Отзывъ въ грузинской Им. Синод. Контору о Бадавской Георгіевской часовнѣ ევ. 5—6, ტფილ. 1899 წ. პლ. იოსელიანი Опис. древ. г. Тифлиса გვ. 261, Вѣстник. Груз. Экзархата 1893 წ. № 4 გვ. 21—22 და № 5, გვ. 15! გრაფინია უვაროვისა Кавказъ. Абхазя, Аджарія, Шавшетія. Путев. замѣтки. ნაწ. II, გვ. 191. მოსკოვი 1891 წ. და სხ.

2) ღვ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გვ. 541—543. ტფ. 1902 წ. ეპ. კირიონი. ზემოხს. მოხსენება გვ. 5 და სხ.

3) „Вѣстникъ Груз. экз. 1893 წ. № 9, გვ. 13 და ღვ. თამარაშვილის ნაწერები: „ისტორია კათოლიკობისა“ და „პასუხად სომხის მწერლებს“.

4) „Вѣст. Груз. Экз. 1893 წ. № 9. გვ. 13 და ღვ. თამარიშვილის ნაწერები: ,,ისტორია კათოლიკობისა'' და ,,პასუხად სომხის მწერლებს''.

5) „სახალხო გაზეთი“ 1914 წლის №№ 1146. 1180, 81, 111187 სხვა. 11ᲓᲐ82, 1186,

თუ ქალაქის საქმეებიდან გვერეკებიან, არამედ ტერიტორიასაც კი გვედავებიან, როგორც ამაზე ამას წინათ „სახალხო გაზეთშიაც“ იყო მოთხრობილი.

დიახ, ჩვენი გულგრილობა და შეუგნებლობა გასაკვიფრებელი იყო და არის, და ამასაც ზედ ერთვის ჩვენი გადამეტებული სტუმართმოყვარობა და გულკეთილობა. სტუმრისთვის,

არას დავიშურებთ. გრაფინია უვაროვისა მოგვითხრობს, რომ ფშავხევსურეთში სიძველეთა დამცველებათ არიან ხევისბერები, რომელნიც აქამდის იცავდენ მათ დიდის სიფრთხილით. უკანასკნელ დროს კი იქაურ ეკლესია საჯვაროებში დაიწყეს ბატონ-პატრონობა ღვდლებმა, რომლებიც არაფრით არიან დაინტერესებულნი, არაფერს არ აფასებენ და თავის წყემსურ დანიშნულებას არ შეესაბამებიან. „სოფელ უკანაფშავის ღვდელი, რომელიც ჩვენ გვახლდა, განაგრძობს უვაროვისა, ეკლესიის სიძველეთაგან მოგვცემდა ყველაფერს, რაც უნდა მოგვეთხოვა. მანაილო ერთ ეკლესიაში შენახული პატარა სპილენძის ზარი და უთავაზა ჩვენთან მყოფ მხედარს (სტრაჟნიკს), მისი ცხენის დასაშვენებლათ 1).

ერთხელ, საქართველოს ექსარხოსმა ნიონმა გადმოგვცა გრაფინია უვაროვის ნაამბობი ქართველების გულგრილობის დასასაბუთებლათ. უვაროვისას მარტვილის მონასტერში სიძველეთა დათვალიერების დროს გადასაყრელათ მომზადებულ კუთხეში მიყრილ ნივთებში უნახავს ერთი პატარა, მარა მეტათ ძვირფასი ხატი ღვთის მშობლისა. გაწმენდა-გასუფთავების შემდეგ, ჩაუბარებია იგი ბერებისთვის და თანაც უთხოვნია, რომ გაფრთხილებოდენ ამ ძვირფას და იშვიათ ხელოვნებით გაკეთებულ ხატს. მარა მის გაცვიფრებას საზღვარი არ ქონია, როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ, ეს ხატი მას უნახავს ერთ ძველ ნივთების კოლექციონერთან მოსკოვში. ამას

1. გრ. უვაროვისა, Кавказъ. Путевыя замѣтки. ნაწ. III, გვ. 226 მოსკოვი 1901 წ.

გრაფინია, რასაკვირველია, მოუთხრობდა საქართველოს ღვაწლსა ქართველების დაუდევრობის, შეუგნებლობის და ველურობის დასამტკიცებლათ და არა კოლექციონერების და მისთანათა მკარცველობის დასაგმობათ, რადგან თვითონაც არ იყო უცოდველი ამნაირ მკარცველობაში, თუ კი სადმე რამეს ჩაიგდებდა ხელში [2]).

ვინ არ იცის გენერალ ლევაშოვისგან გაცარცული გელათის ძვირფასი სახარება [3]), ოქრო-ვეცხლით ქსოვილი, ნაკერი და ძვირფასი ქვებით შემკული შესამოსლების წაღება დასაკუთრება? ზემოხსენებული კომისისგან შედგენილი გელათის და მოწამეთის ქონებათა აღწერილობაში მოხსენებულია, რომ მას ეს შესამოსლები დაუწვავს ოქროს გადასადნობლათ 1). ვინ არ იცის გაძარცული ხატების ისტორია 2).

ქართველთა კულტურულ ნაშთთა შემუსვრას და განადგურებას გულმოდგინეთ ეწეოდენ ისინიც კი, ვინც ჩვენს ეკლესიას მზრუნველათ მოუვლინა დროთა ვითარებამ. გნებავთ ამის დამტკიცება? მოისმინეთ.

ამბერი.

---

2) მაგალითათ, სვანეთიდან მას წაუღია ერთი ძვირფასი ხატი და ამის შემდეგ სვანები ძალიან უნდობლათ და გაფრთხილებით ეპყრობიან არქეოლოგტურისტებს, განსაკუთრებით კი მოგზაურ ქალებს /მ. ნ. ილინა. Поѣздка въ Сванетію გვ. 39 პეტერბურღი 1913 წ.

3. Церк. Вопросы въ Россіи გ. ვ. 95.

1. იხ. ამ მონასტრების არხივი; აღწერილობა 1874 წლისა. ეგვენი მარკოვი მოწმობს, რომ მთელი იმერეთი აშფოთებული იყო ლევაშოვის მოქმედებით მისგან ჩადენილი მკვრეხელობით. ავტორს ვერ წარმოუდგენია, რომ რუს-ადმინისტრატორს ჩაედინოს ამნაირი სისაძაგლე და მეტათ გაზვიადებულათ მიაჩნია ეს ბრალდება, ცდილობს რამდენათმე მაინც გაამართლოს ეკლესიის მკრეხელი ბარბაროსი, ძვირფას ისტორიულ ნაშთა გამანადგურებელი ადმინისტრატორი. მარკოვი. Очерки Кавказа, გვ. 281—285, 1887 წ., მარა ამაოთ, რადგან ფაკტები ნათლათ ამტკიცებენ ამას.

2. Церк. Вопросы въ Россіи გვ. 97—98. იმერეთში მოგზაურობის დროსაც ჩემის თვალით მინახავს ეს გაძარცული ხატები და მონასტრის ძმებს აუხსნიათ ჩემთვის მათი გაძარცვის ისტორიაც.

შენიშვნა რედაქციისაგან.

„განთიადის“ № 1-ში დასტამბულ ბ. იაკ. ფანცხავას წერილის გაგძელება „იძულებითი განმარტება“, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო (სტამბაში) დაიკარგა და ხელმეორეთ გადაწერილ დედნიდან ეს წერილი შემდეგ №-ში დაისტამბება.

რედაქცია.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ.

აკაკი. როგორც დიდი ეროვნული მგოსანი.

(აკაკის ნაწერები, პირველი და მეორე წიგნი. ი. მან სვეტაშვილის გამოცემა. 1913 წ.)

აკაკის ქართველი საზოგადოება და ხალხი, აგრეთვე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზდობა აღმერთებს. ქართველი მენდილოსნებიც მისდამი ღრმა სიყვარულით და უზომო პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. მკაცრი და ულმობელი კრიტიკა ვერ უპოვის მას და მის ნაწარმოებს ვერავითარ ნაკლს, ვერავითარ ხინჯს ამ დიდათ მოსიყვარულე გულის, იშვიათი ტემპერამენტის პატრონს ივერიელს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა და იღვწის დღესაც ეკლით და ნარით მოფენილს ჩვენი სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზე.

აკაკი გასული საუკუნის სამოციან წლების მწერალთა გუნდს ეკუთვნის და ამ მწერალთა შორის მას უპირავს უპირველესი ადგილი. ვითარცა ლირიკოსი იმას საქართველოში ბადალი არა ყავს და თავის შესანიშნავი ტალანტით, სიღრმით, ძლიერებით და სინაზით მას უთანასწორდებიან მხოლოთ ორი დიდი ივერიელი—შოთა რუსთველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

როგორც პროზაიკი, აკაკი ძალიან დიდი მხატვარია ცხოვრებას, ადამიანთა სულის და გულის ღრმა მცოდნე და ყველგან თვის ნაწარმოებში იძლევა დახატულ ხასიათებს და ტიპებს, რაც შეადგენს ხელოვნურ ნაწარმოებთა დიდს სამკაულს ყველგან და ყოველთვის.

აკაკი წმინდა, ნამდვილი, ხალასი რეალისტია. ცხოვრების ყოველდღიურ ამბავს, ფაკტს იგი უყურებს პირდაპირ, წინდაწინვე დაუმზადებელის აზრით და ხატავს ამ ფაკტს გაუზვიადებლათ სწორეთ ისე, როგორი ჩაბეჭდილებაც ამ ფაკტმა მოახდინა მასზე, რასაკვირველია, საკუთარი შემოქმედობითი ტალანტის განცდით. მგოსანი-მხატვარი ყოველ თვის თავის სურვილებს და იდიალებს, თვისი გრძნობა-გონების ძალებს უთანხმებს ცხოვრების ფაკტებს ხოლმე და ასე ქმნის იგი თვის ნაწამროებს. ამასთანავე ზომიერება არსად არ ღალატობს აკაკის და, ამიტომაც, იმისი ნამოქმედარი არას დროს არა ღლის ადამიანს. პირ-იქით, იწვევს სიცოცხლეს, ხალისს და სიამის მომგვრელ ნეტარებას. ამიტომაც, ქართველ მწერალთა შორის აკაკის, მიუცილებლათ, უპირველესი ადგილი უჭირავს და დიდათ თავმოსაწონებელი მწერალი-მოღვაწის სახელიც აქვს გავარდნილი ქართულს, რუსულს სომხურს, პოლონურს და საზღვარგარეთულს ლიტერატურაშიაც...

აკაკი დაიბადა დაბა საჩხერეში „გიჟმაჟი ხევისწყლის ჩიხურას პირათ მდებარე ორ სართულიან ქვიტკირის სახლში*) 1859 წელს, 9 ივნისს, განთიადისას. მგოსანი ამბობს, რომ ნათქვამიაო: ადამის შვილი გაჩდება, თუ არა ქვეყნათ, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედებაო, წინასწარის ზედწარწერითო! თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზე შემდეგი შაირი წერებულა:

ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის-კი კაი ჯორსაო“

მამა მგოსნისა, თავ. როსტომ წერეთელი, შინა კაცათ იყო გაზდილი და მარტო ის იცოდა, რაც მის დედას ესწავლებინა. მთელ მის სისოცხლეში თვითნებობა და ახირებულობა ზნეთ ქონდა გადაქცეული. ძალიანა სძულდა ნადირობა, ეჯავრებოდა აქეთ-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა. ხშირათ ამბობდა ხოლმე; „კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისთვის არის გაჩენილიო.“ არც თავითონ შრომობდა, არც სხვასაწუხებდა. უყვარდა ძილი, პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგათ, ღონივრათ ჭამა და იმას იძახოდა: „არიქა, მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას საყოფათ აჭამეთო“. ბუნებით ნამეტანი კეთილი იყო, შური და ბოროტება, არ ესმოდა, რა იყო; მარა უცბათ გულის მოსვლა კი უბრალო რამეზე იცოდა.

თ. როსტომი ოჯახის საქმეში არ ერეოდა,—სულ აკაკის დედის ხელში იყო. მარა ქმრის ხასიათის ახირებულობა ხელს უშლიდა კნეინას და ამ ორს, სრულიათ ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ ადამიანთ, ხშირათ ქონდათ ერთმანეთში საყვედური. კნეინა ხშირათ ეტყოდა ხოლმე ქმარს: „შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდა“. სასახლეში ვაჟბატონი მაინც ყველას უყვარდა, ვიდრე ქალბატონი. საკვირველიაო, ამბობს აკაკი, მრისხანე დედა-ჩემს არ უყვარდა არავის დასჯა, მხოლოთ სიტყვითა და შუხედულობით იყო საშიში. ხშირათ იპატივებდა ხოლმე მამიჩემისგან გულმოსულობით გაწირულს, მარა მაინც ყველა მრისხანეთა თვლიდა. მგოსანს მოაქვს ამის ბევრი მაგალითი. მარა ჩვენ აქ ამაზე არ შევჩერდებით.

არავინ იფიქროს, რომ ასე აჩქარებული გულის პატრონი თავ. როსტომ წერეთელი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს. იგი იყო ძლიერი, ღრმა გონების ადამიანი, მოსწრებული და დიდათ ენა მჭევრი, თუმცა კი ხშირათ ენა. მწარეც. დედა მგოსნისა ხშირათ იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოყვათ, დახურდავებულიო“. ჩვენ ხუთი დაძმანი ვიყავითო, ამბობს აკაკი, ღვთის მადლით, არც ერთს სუსტი ენა არა გვქონია და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დაუხურდავებელი ენა. თუ გუნებაზე იყო როსტომი, მის ნახვას არაფერი ჯობდა. ,,იმას რომ სწავლა მიეღო და ცხოვრებაში გავითარება ქონოდა, შესანიშნავი ვინმე იქნებოდა‘‘.

*) იხ. „ჩემი თავგადასავალი‘‘, აკაკისა.

ძლიერი გონების და მეტათ მოსწრებული ენის პატრონი რომ იყო მგოსნის შესანიშნავი მამა, ამის მაგალითი აკაკის ბევრი მოაქვს, მარა მე აქ ერთს მოვიტანთ მხოლოთ. „ფოტოგრაფია რუსეთში ახალი შემოღებული იყო. ჩემს ძმას გადაეღო თვისი სახე და გამოეგზავნა. უწყება მოგვივიდა. მე გიმნაზიაში მიმეჩქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტანთქო. მამაჩემს სულმა აღარ მოუთმინა და, თურმე, თითონ წავიდა ფოსტაში. შევიდა, ნახა, რომ ყურათღება არავინ მიაქცია, მიიხედ-მოიხედა, სკამიც ვერსად დაინახა, რომ დამჯდარიყო. დგას ფეხზე სხვებთან ერთად და ფიქრობს გუნებაში: ეს რას ნიშნავს! სადაც შევდივარ, ყველგან დაბძანდის მეუბნებიან და სკამს მიდგმენ, და ეს კი ვიღაც არის, ბუზადაც არ მაგდებსო! ფოსტის უფროსი ახალი დანიშნული იყო და მამაჩემს არ იცნობდა. მამაჩემმა ერთს ხანს იცადა და, ბოლოს, რომ მოთმინება დაკარგა, მივიდა და უთხრა:

— კიდევ დიდხანს გინდა, რომ მაცდევინო? მომეცი ჩემი ილიკოს გამოგზავნილი, თუ რამე იყოს, და გამისტუმრე.

— ილიკო ვინ არის? ეკითხება გაკვირვებული ფოსტის უფროსი.

— ილიკო ვინ არის? ვინ არის და ჩემი შვილი, ხელმწიფე იმპერატორის მოსამსახურე — კანვოი.

— მე ვერ ვიცნობ.

— ოხ, შენ თუ არ იცნობ, მაშ პური ველარ უჭამია! იმ კაცს სასახლეში იცნობენ და შენ აქ, გინდ იცანი და გინდა არა.

— ყოველიფერი კარგი, მარა თითონ თქვენ ვინღა ბძანდებით?

— მე? თავადი როსტომ წერეთელი.

— ვერც თქვენ გიცნობთ.

— ახლა ხომ გეუბნები, ვინცა ვარ!

— ეგ არა კმარა.

— მაშ, ხატზე ხომ არ გინდა, რომ შემოგფიცო?

— ფიცი რა საჭიროა, წადით და მოწმობა მომიტანეთ.

— მოწმობა?! რისი მოწმობა?

— მისი, რომ სწორეთ თავადი როსტომ წერეთელი ხართ.

— მერე და ვის უნდა გამოვართვა ეგ მომწოობა?

— პოლიციაში, კვარტალს.

აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ველარ აიტანა და სტაცა კისერში ხელი...

შეურაცხყოფილი ფოსტის უფროსი გაიქცა საჩივლელათ პირდაპირ გუბერნატორთან. დაიბარეს მამაჩემი. შევიდა თუ არა ზალაში, მაშინვე საყვედურით მიმართა გუბერნატორს: მთელი ხმელეთი ხელში გიჭირავთ და კაცებს ველარ შოულობთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე, რომ ვიღაც გიჟებს და მასხარებს ნიშნავთ?

— როგორ! რა ამბავი იყო? რა ჩაგიდენიაო? ეკითხება გუბერნატორი.

— როგორ, თუ რა ჩამიდენია! დიდმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამატკიცა თავად როსტომ წერეთლად, ნიკოლოზმა ხელი მოაწერა, ალექსანდრე მეორემ ბეჭედი დაუსვა, და ახლა, ეს ვიღაც ოხერია, სამი დიდი ხელმწიფის მონიჭებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქო მაგის შეკერილი ჩოხა ნაბადი იყოს! მეუბნება, რომ ეგ ყოლიფერი ჩალადაც არ ღირს, თუ პოლიციაში არ წახვედი და იქ ხელახლა კვარტალმა, მაქსიმე მგალობლიშვილმა, არ დაგამტკიცაო.

— ეგ ყოველიფერი კარგი, მარა თქვენ რაღა უპასუხეთ?

— საპასუხო რა მქონდა? რისიც ღირსი იყო, კიდევაც მივანიჭე.

— მაშ აღიარებ, რომ შეურაცხყოფა მიაყენე?

— რას ამბობთ? როგორ თუ შეურაცხყოფა? ჩემი საკინლად აგდება, რომ კიდეც ამეტანა, რა ნება მქონდა, რომ მთავრობის შეურაცხყოფა დამეთმო მაგისთვის?

— ხელი შეახეთ?

— არა, ისე, კისერში წავავლე.

— მეტი არაფერი?

— როგორ არაფერი. გადმოვღუნე და

სამიოდე ჯოხი ვზუზღე, ერთი ჩემი გაიცხვისთვის და ორიც მთავრობის შეურაცხყოფისთვისო. ამას ისეთი გულმოსულობით ამბობდა, რომ ვერც თითონ გუბერნატორმა და ვერც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს. ბოლოს, როდესაც აუხსნეს მაჰაჩემს მისი შეცდომა, შეწუხდა, მიუბრუნდა იქვე მდგარ ფოსტის უფროს და უთხრა: — „შე, ცუდო კაცო, მე რა ვიცი ახალი რიგისა და წესებისა? რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაცი, აგეხსნა ჩემთვის, რასაც ახალი კანონები გეუბნებიან, თვარა, მე შემოვდივარ ზრდილობიანათ, შენ-კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო! სხვა რომ არა იყოს რა, ყმაწვილი ხარ, ჩემი ჭაღარისთვის მაინც უნდა გეცა პატივი. „ეს საქმე ბოდიშითა და მორიგებით გათავდა“...

აქ უნდა შევწყვიტო შვენივრათ დახატული ადგილების მოტანა, რომელნიც ძლიერათ და საუცხოოთ ახასიათებენ როსტომ წერეთელს, როგორც ჩვენი ძველი ცხოვრების წარმომადგენელს. აკაკიმ ორი კალმის მოსმით, ძლიერის კურთხეული მარჯვენა ხელის ერთი გაქნევით დახატა მთელი ტიპი მაშინდელი თავადიშვილისა, რომლის ბადალი ჩვენს ლიტერატურაში არ მოიძებნება. აქ არის თქვენ წინ დახატული მთელი მაშინდელი სიცოცხლით სავსე, დიდათ გულკეთილი, თან ჭეშმარიტი, დაუშრეტელი, მჩქეფარე და მხიარული კილო როსტომ წერეთლის იუმორისა. ჩვენი დიდი მგოსნის ეს პროზაული ნაწარმოები არის დიდი და ღრმა, ჭეშმარიტი და გულწრფელი შვენიერი დახატვა ჩვენი განვლილი ცხოვრებისა, რომელიც ასე გვენათესავება და ახლოა ჩვენზე, ყველა ქართველზე...

დედა მგოსანისა იყო დიდი ძველებური ოჯახის ასული. 1820 წელს, რუსის ექსარხოსის დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურათ ითვლებოდა დიდი ივანე აბაშიძე, ახალციხეს მოკლული. ეს ივანე აბაშიძე დიდი სოლომონ პირველის მეფის ასულის დარეჯანის შვილი იყო და მამა მგოსნის დედისა. აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს, ივანე აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვეთ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძლი ძმა იყო ივანე აბაშიძის ცოლის. მამია გურიელი გამოესარჩლა დასა და დისწულებს, მთავრობასთან იშვამდგომლა და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუნეს გზიდან. ივანე აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მარა ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ არა ქონდათ, გურიის მთავარმა - მამიამ გადაიყვანა და ცდილობდა იმათი უზომო მწუხარების გაქარვებას. ყველაზე უფრო, თურმე, დასევდიანდა ჩვენი მგოსანის დედა, რომელიც იმ დროს 12—13 წლისა იქნებოდა. იმას, თურმე, სულ დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავით ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც ყოველისფრათ შესანიშნავ ბავშს. მამია გურიელიც განსაკუთრებულ ყურათღებას აქცევდა მგოსნის დიდათ ნიჭიერს დედას. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდოჯახებში, მამია გურიელის სასახლეშიაც თითქმის შინაკაცებათ ითვლებოდენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაც ქონდათ ოჯახებზე...

ამ განათლებულმა ფრანგის პატრებმა აკაკის დედაზე დიდი ზედმოქმედება და გავლენა იქონიეს. იმათი მეოხებით მას შესწავლილი ქონდა მკურნალობა და მეურნობა. რაც კი იმ დროში ქართველ ქალს ხელიდან გამოუვიდოდა, ყველაფერი იცოდა ზედმიწევნით. იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელ-საქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი. ცნობის - მოყვარობასთან შრომის-მოყვარობაც შეთვისებული ქონდა: დილას, მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდი ფეხზე იდგა და უსაქმურათ კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარ ბოროტებისო,“-იტყოდა ხოლმე

იგი და კეთილი საქმე-კი იგივე ლოცვა, ვედრებაა“. მოსამსახურეს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინა-რა. უსაქმოთ არავის გააჩერებდა. ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგს წიგნსაც აკითხებდა. მაშინ, ბატონ-ყმობის დროს, ამგვარი ქცევა საარაკო იყო და მგოსნის დედის მოქმედებაც ჩვენს, რასაკვირველია, თვალში ეჩხირებოდა. მკაცრობისა და მრისხანების სახელი ქონდა მას დავარდნილი, რადგან თავი მძიმეთ ეჭირა. „ბრბოს თუ თავი გაუყადრე, პირს შეგაჩვევს, აღარათ ჩაგაგდებს და, რაც უნდა ურჩიო, აღარ დაიჯერებსო“ —ამბობდა იგი. სასახლეში იმისი ყველას ეშინოდა და დიდი ხათრი და მორიდებაც ქონდათ. აკაკი წერს: მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებსო, რომ დედა-ჩემი ცივ გული და მრისხანე იყო, მარა გონებაში რომ ჩავხვდი, მაშინ-კი გამოვიკვლიე სიმართლე ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული, მარა დიდ ოჯახში ნამყოფი, დარეჯან ბატონიშვილის გაზდილი და პატრების ნამოწაფარი, განგებ პირ-ბადეს იფარებდა, მხოლოთ კეთილის განზრახვით. უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავათ ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!.. დღე და ღამ მოსვენება აღარა ქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულათ ქონდა დადგენილი. სულ სხვებზე ფიქრობდა და სხვებისთვის, თითქოს თავის საკუთარ პირადობაზე ხელ აღებული ყოფილიყოს, მუდამ მწუხარებაში იყო და ყოველ ფერიცვალება-დღეს მტირალი იჯდა ხოლმე. ამბობენ, ამ დღეს რაღაც ძველებური ამბავი აგონდებოდა...

აი, ვინ იყვენ მშობლები ჩვენი ეროვნული სიამაყისა და მისი დიდი ტალანტი, მაშასადამე, ჩვენთვის სანახევროთ მაინც გაგებულია ახლა...

დაბადებისთანვე „კაკო“ (ბავშობისას აკაკის კაკოს ეძახდენ) ძიძას მიაბარეს, სოფელ სავანეში, რომელიც ერთი საუცხოვო ადგილთაგანია ჰაერით და მდებარეობით მთელ საწერეთლოში. საჩხერიდან ამ სოფლამდი ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აი, აქ აიდგა ფეხი, ამოიდგა ენა პატარა „კაკომ“ და აქედანვე იწყება იმისი მახსოვრობაც. ყოველი სამუშაო და ხელსაქნარი სოფელი გლეხისა, კაცისა და ქალისაც მუდამ თვალწინ უდგა კაკოს, თვალყურს ადევნებდა იმათ მუშაობას, ძალაუნებურათ მონაწილე ხდებოდა და სწავლობდა იმათგან ყველაფერს. ხუთი ექვსი წლის კაკომ კარგათ იცოდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვა და სხვა გვარ შეჭამადის მოზადება და სხვანი. შესწავლილი ქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, მკა, სხვლა და სხვა. საჩეჩელის და ლარის ხელიც ისე კარგათ იცოდა კაკომ, რომ ქალებიც ვერ ჯობნიდენ. რაც შეეხება ათასნაირ სათამაშოებს, ამაში ხომ მთელი დღე აღამებდა კაკო წმინდა ჰაერზე მიდვრათ თავის ტოლ-ამხანაგებში. ბურთაობა, შვილდ-კოდალობა, რიკტაფელობა, გადახტომ-გადმოხტომა, ხურვა სახლების და ბეღელ-სასიმიდე-წისქვილების, ბოგირების აშენება, „ბატონობია“, ქორობია, ქალაქობია და სხ. თამაშობა იზიდავდა, რა თქმა უნდა, 5 – 6 წლის ნამდვილ ბუნების შვენიერს შვილს, რომელიც იყო ტან-მთელი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი.

პოეტის დიდათ ცოცხალი, მოუსვენარი ბუნება ყანაში მუშებთან დიდხანს ვერ ჩერდებოდა და სულ სამწყესურში წასვლა, მიდვრათ და ტყეში თავის ტოლ-ამხანაგებში დარჩენა მისთვის ნამდვილი სამოთხე იყო. გათენდებოდა თუ არა, იგი, უქუდო, ფეხშიშველა მწყესებისკენ გარბოდა და დაღემებამდი იმათთან რჩებოდა. სამართლიანათ ამბობს ჩვენი მგოსანი, რომ ,,ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზდილა, ბუნებაზე სრულიათ მოსხლეტილიაო, ის არის მოკლებული უპირველეს ბედნიერებას. მგოსანი ადარებს ქალაქში გაზდილსა და სოფელში აღზრდილს და პირდაპირ გენიოსურ აზრებს გამოსთქვამს

ერთის კალმის წვერის გაქნევით... ,,სოფლელ'ს თვალ წინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვა ფერობით, გაცნობილი ყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; მის თვალწინ იბადება, იზდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება,—ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და, ამიტომაც, ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ხედავს''?..

რომ სიტყვა აღარ გავაგრძელოთ, წერს მგოსანი, მოკლეთ ვიტყვი, რომ სოფელში გაზდილი და ქალაქში მყოფ ბავშებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა. ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავიო...

პატარა კაკო რომ სოფელ სავანიდან გამოიყვანეს სასახლეში დედ-მამასთან საცხოვრებლათ, იგი პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი იყო. მარა დედამ მაშინვე მიუჩინა მას პატარა, თავის ტოლა ბიჭები და იმათთან დილიდან საღამომდის სულ მიდორში დარბოდა. საღამოს სახლში ბიჭები მოყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს, ზღაპრების შემდეგ ყმაწვილები ერთმანეთში გაშაირდებოდენ, მერე კი გამოცანებს, ანდაზებს და ჩქარა გამოსათქმელ წინადადებებს ამბობდენ. მგოსნის დედამ ამ ბიჭებს შეაჩვია ნელ-ნელა საზეპირო ლოცვებიც. კაკომ დედისგან ერთი თვის განმავლობაში ისწავლა: ,,მრწამსი'', ,,მიწყალე'', „მამაო ჩვენო'', ,,წმიდაო ღმერთო'' და სხვა. კაკო ისე წათამამდა, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოინდომა, მარა დედამ უთხრა: ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშვენის წერა-კითხვაო; როცა დაჭკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თვარა ჯერ შენ რა ღირსი ხარო''... ამ სიტყვებმაო, ამბობს აკაკი, სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას, რომ ჩემს ძმებსავით მეც წერა-კითხვის ღირსი გამხდარვიყავი. მეხარბებოდა, სხვები რომ კითხულობდენ და, ბოლოს, ჩემმა ბედმაც გასჭრაო. ერთხელ ჩემი უფროსი ძმა ღვდელს მოეხმარა და წირვაზე შვენიერათ წაიკითხა ;,სამოციქულო''. ნაწირევს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო.

მე კი მეხარებოდა და გულიც მწყდებოდა. ერთმა გლეხმა მკითხა: ,,შენ როდის-და წაიკითხავო?'' ჩემ მაგიერათ მეორემ მიუგო: ,,როდინობის კვირეშიო!'' მივხვდი, რომ დამცინოდენ და მეწყინა. იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: კითხვა მასწავლე მეთქი. იმანაც დამარიგა, დედამ არ გაგიგოსო და ჩუმათ დამაწყებინა კითხვა: მოკლე ხანში ან-ბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. ,,თუ აგრე კარგათ და გულმოდგინეთ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხებო,—მეუბნებოდა ჩემი და,—დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო''. მე ამ იმედით წახალისებულს, დღე და ღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა რა. რა ვიცოდი, თუ ეს დედი ჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემყვარებოდა! აი, ამნაირმა დედის წინდახედულობამ კაკოს წიგნის კითხვა ძალიან შეაყვარა და ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ იგი ღვდელს ეხმარებოდა...

რამდენისამე წლის განმავლობაში ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე. რუსული კითხვა დედა ჩემმა მასწავლა, მარა სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. ერთი ძველი, მოსკოვში დაბეჭდილი ,,რაზლოვორი'' გვქონდა და იმას მაზეპირებიებდა ხოლმე. დედა ჩემი სულ იმას ფიქრობდა, რომ ჩვენ უსაქმოთ არც ერთ წამს არ დარჩენილვიყავით და სწორეთ რომ ახირებულათ გვზდიდა. სულ ფეხ-შიშველა და თავშიშველა დავრბოდით მიდორში, არც სიცივების გვეშინოდა, არც შიმშილის. ,,კაკი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყოველიფერი აიტანოსო'', იტყოდა ხოლმე დედა ჩემი და, მართლაც, რომ მისი რჩევა ბოლოს გამოგვადგა. აკაკი ასწერს,

თუ რანაირათ ზდიდა ბავშებს სოფელში მგოსნის გათქმული მშობელი დედა და დღეს როგორ აღამებდენ. ნამდვილ სპარტანულათ გვზდიდენო, ამბობს მგოსანი. ,,არ გვარიდებდენ, არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს, არც ავდარს. დილ-დილობით ცვრიან ველ ზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-ვამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმრნებული ვიყავით, რომ ამით ტან-მთელობა მოგვემატებოდა. ახალ გზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს უშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსლოდა.

კაკო რვა წლისა არ იყო კიდევ, რომ მას თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მოწყინდა და უფრო სხვა საფიქრებელს გადაყვა. ამის მიზეზი იყო ,,ვეფხის ტყაოსანიო'', ამბობს მგოსანი. წავიკითხე თავიდან ბოლომდი და, თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მარა მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი. იმას მივაყოლე სხვა საკითხებიც და მთელი ქრისტომატია, ჩუბინაშვილისგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე. ამას გარდა, ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ ,,გლუხარიჩმა'' კომედია დაწერაო და ვარანცოვის სასახლეში ითამაშესო. ამ ამბავს გულმოდგინეთ ვუგდებდი მე ყურს და, ბოლოს, თითონაც მოვინდომე, რომ იმგვარი რამ კითხვა—მიგებითი დამეწერა და, მართლაც, ავწერე შინაურობა, მაგალითად, როგორ აწვალებდა ჩვენი მოურავი ხალხს, მერე ბატონს აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა, და ჯავრობდა და სხ. და სხ. ეს ბავშური სცენები სასახლეში სულყველას მოეწონა, გარდა მოურავისა, რომელიც გულმოსული ამბობდა: ,,ჩემი დაცინება არაფერია, მარა ენახავთ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადიმტეროს და ნუ აქეზებთო''. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედა ჩემს, თურმე, შეენახა და, რუსეთიდან რომ დავბრუნდი, მიჩვენა. მე სიბრიყვე მორეულმა ვიუკადრისე, გამოვართვი დედას, დავხიე და ცეცხლში ჩავყარე. დედა ჩემს ძალიან ეწყინა და მისაყვედურა. მარა ხომ ველარ გავამთელებდი.

რვა წლის რომ შეიქნა კაკო, იგი სოფელს, შვენიერს საწერეთლოს არე მარეს მოაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადმოიყვანეს. „აქ თავდება ჩემი ბავშობის პირველი ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქიდანვე იწყება მეორეც: მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკუღმართებელიო".

ხოძელი.

(შემდეგი იქნება).

მწიგნობრობის თანამგზავრი.*

(„Газетный міръ" И. В. Вольфсона).

(წერილი პირველი).

ზემო ამოწერილ რუსულ წიგნს ქართულათ მე **მწიგნობრობის თანამგზავრი** მისთვის უწოდებ, რომ იგი ამ დარგში ყოველ თეორეტიულ-პრაქტიკულ მოღვაწეს თანამგზავრობას გაუწევს, მისთვის გზის მაჩვენებელი, მისამართის მიმწოდებელი არის მთელი რუსეთის კულტურულ, სამწიგნობრო დაწესებულებების და როგორც ასეთი, იგი ყოველ ქართველი მწერლის, პრაქტიკულათ მომქმედ მწიგნობრისათვის ერთი საჭირო და სასარგებლო წიგთაგანია. აი ამიტომ ვაცნობ მას ქართველ მკითხველს, რომელიც, იმედია, არ გვისაყვედურებს მწიგნობრის ასე ვრცელ წერილებისთვის.

ვოლფსონის უკანასკვნელი, მეორე შარშანდელი გამოცემა შეიკავს ცხრა განყოფილებას, რომელთა შორის ჟურნალ-გაზეთების საქმეს უჭირავს ამ წიგნის ნახევარი ალაგი.

*) ეს წერილი თვიურათ გამომავალ ჟურნალ „განთიადის" პირველ №-სთვის იყო გამზადებული, მაგრამ იგი დღემდი ვერ დაისტამბა, რადგან ეს ჟურნალი მისი დამაარსებლისაგან, ნივთიერ უსახსროობის გამო, წელიწადია რაც შეჩერებულია და დღეს განახლებულ ცხოვრებას იწყებს. ავტორი.

პირველ განყოფილებაში ჩამოთვლილია რუსეთში ყველა ენებზე გამომავალი პერიოდული გამოცემები. პირველ გამოცემასთან შედარებით, ეს განყოფილება გაცილებით მომატებული და შევსებულია. იგი იძლევა ცნობებს 2167 პერიოდულ გამოცემების შესახებ, რომლებიც გამოდიან რუსეთის 246 ქალაქებში, 33 სხვადასხვა ენაზე. აქ პერიოდული გამოცემები აღნიშნულია ანბანზე და ქალაქებიც ალფავიტურ რიგზეა ჩამოთვლილი და ნაჩვენები: რომელ ქალაქში რა გამოცემა გამოდის და რომელ ენაზე.

აქ შემდგენელს რუსეთის დღევანდელი სატახტო ქალაქი **პეტროგრადი** და ძველი **მოსკოვი** თავში მოუქცევია, რადგან ამ ორ ადმინისტრატიულ უმთავრეს ცენტრებს უჭირავს გონებრივ-კულტურულათაც პირველი ალაგი. ამ ვეებერთელა ქალაქში ტრიალობს და მოქმედობს მთელი რუსეთის საუკეთესო გონებრივ-კულტურული ძალები და მათი გამომხატველი კულტურული დაწესებულებებიც აქ ყველაზე მეტი და უმჯობესია.

პეტროგრადშია, მაგ. ყველაზე გავრცელებული რუსეთის ბიუროკრატიის სულის კვეთების გამომხატველი, მთავრობის მესაიდუმლე დიდი გაზეთი **„ნოვოე ვრემია“** თავის კაპიტალისტურ ნიადაგზე მოწყობილ სტამბით ერტელევის ქუჩაზე და საუკეთესო წიგნის მაღაზიით ნევსკი პროსპეკტზე. აქვეა უმთავრესი მმართველობა სუვორინის საკაციონერო გამომცემელ ამხანაგობისა, „ რომელიც ყიდის და ავრცელებს რუსეთის და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს რუსეთის ყველა უმთავრეს რკინის გზის შაფებში, რომლებიც მას ყველგან იჯარით აქვს აღებული.

აქვე გამოდის სატახტო სხვა დიდრონი ჟრნალ-გაზეთები: კადეტების **„რეჩი“** და **„სოვრემენნოე სლოვო“**, მშრომელთა ჯგუფის ახალი ორგანო „დენი“, ცნობილი გამომცემლის პროპპერის **„ბირჟევი ვედომოსტები“**, **„პეტროგრადის კურიერი“**, „პეტროგრადის გაზეთი“ და სხ. აქ დაიბადა პირველათ პატარა საქმე გაზეთ **„კაპეიკას“** გამომცემლობისა, რომელიც დღეს ამ გამომცემლობის ფირმით დიდ საკაციონერო საზოგადოებათ გადაიქცა და მისი გამოცემები მთელ რუსეთს ასი და ორასი ათასობით ეფინება. პეტროგრადის გამომცემლობა **„კაპეიკა“** იმდენათ ხელსაყრელი და სარფიანი შეიქმნა მის დამწყებთათვის, რომ გარდა ამ ფირმის ზრდა-წარმატებისა, ამგვარივე კაპეიკიანი გამოცემები მრავალ სხვა ქალაქებში დაიწყეს, მაგ. მოსკოვში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, კიევში და სხ. ამგვარი გამოცემები მიმბაძველობით კავკასიიდან თფილისშიაც კი სინჯეს, მაგრამ ისინი საკუთარ ქალაქის ბაზარს ვერ გაშორდენ, ზოგი უკვე ჩააკვდა და ზოგიც მიღოღიალობს, როგორც მაგ. უშინაარსო 2 კაპ. „Знакъ Тифлиса“, გაზეთი, რომლის გავრცელება დღეს „ზაკ. რეჩი“-ს და „კავ. სლოვოს“ ჯინაზე თფილისელმა კონტრაგენტმა ნასყიდოვმა ქუთაისში დაიწყო კანტორა „იმერეთი“-დან გაგზეულ მცარცველ მეგაზეთეების (მიხა ჭეიშვილის და სხ.) საშვალებით.

პეტროგრადში გამოდიოდა და დღეს ომის დროს საცენზურო პირობების გამო შეწყდა გამოსვლა ესდეკურ მიმართულების ჟურნალ-გაზეთებისა. ასეთები იყო დღიურ-კვირეული გაზეთები მეუმცირესე—მეუმრავლესეთა ფრაქციებისა: **„ლუჩი“**, **„რაბოჩაია გაზეტა“**, **„პრავდა“**, „ბარბა“, „ნაშა-ზარია“, „პროსვეშჩენიე“ და სხ., რომელთა ხელმძღვანელები დღესაც მრავალნი სხედან ციხეებში და 129 მუხ. ძალით მისჯილ სასჯელს იხდიან. დღეს მემარცხენეთა პირწმინდა ორგანოებში, მხოლოდ ერთიღა „ნაშა-ზარია“ ჰაჰანობს რომლის საინტერესო მე № 7, 8 და 9 წასულ თვეში გამოვიდა.

პეტროგრადშივე გამოდის უხუცესი ჟურნალები ეგრეთწოდებულ „ნაროდნიკებისა“ და მონაროდნიკე ლიბერალურ ინტელიგენციისა ძველის ძველი „ვესტნიკ-ევროპი“, „რუსკოე ბოგატსვო“, რომელიც ახლახან დაიკეტა და მის მაგიერათ გამოდის „რუსკია ზაპისკი“, პ. სტრუვეს „რუსკაია მისლი“, „ისტორიჩეს-

კი ვესტნიკი“ დღეს მარქსისტულ ორგანოთ ქცეული „სოვრემენნი მირი“, „ობრაზოვანიე“, ესერული „სევერნიე ზაპისკი“, მხატვრული ხელოვნების ფაქიზი გამოცემა „პრობუჟდენიე‘‘, ცნობილი გამომცემლობა მარქსისა მეტათ გავრცელებული საკვირაო ჟურნალი „ნივა“; იურიდიული გამოცემანი: “პრაქტიკული მედიცინა„ – ვ. ეტინგერისა “Оганекъ„ ვო“, „ვესტნიკ პრავა„; საბავშო: „პუტეევოდნი ოგანიოკი“, „ზადუშევნოე სლოვო“, „იუნაია როსია“, „დიტსკი მირ“, „სოლნიშკო“ „მალიუტკა“, (მაიაკი“) და სხ. ამგვარი.

პეტროგრადშივეა საუკეთესო გამომცემლობა და წიგნის მაღაზიები: სუვორინისა, ვოლფის, მარქსის, გრანატის, კირხნერის, ზნანიესი, ტრუდის, პრობლემასი, ნაუკასი, პოპოვასი, კარბასნიკოვის, გლაგოლევის, ფალბორკის და ჩარნოლუსკის, სკირმუნტის, ბიტნერის ჟურ. „ვესტნიკ ზნანიესი“ ფართე და სამეცნიერო მისი პოპულიარული გამომცემლობა, პ. სოიკინისა და მრავალი სხვები.

პეტროგრადში გამოდის ჰროპერის გამომცემლობის ფირმით დღეს ასე გავრცელებული საკვირაო ნახატებიანი ჟურნალი „ოგანიოკი“, რომლის ტირაჟი დღეს გაორკეცებულია, რადგან შიგ ისტამბება ყველა მეომართა (დაჭრილ-დახოცილთა) სურათები და ბრძოლის ველის მიდამოებში, მებრძოლთა შეტაკება-დაჯახების, საომარ იარაღების, გემების, ზარბაზნების, მძიმე არტილერიის, ჯარების, დაქცეულ, აღებულ ადგილების და სხვათა სურათები. ეს ჟურნალი ათასობით ვრცელდება ყველა დიდრონ ქალაქებში, რადგან ყველა მასში ეძებს ბრძოლის ველზე წასულ თავიანთ შვილებს, ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს. ყველას უნდა იქაურ სურათების დანახვით მაინც შეიტყოს თავისიანის ავკარგი, რაკი სხვა გზით ძლიერ ძნელდება მეომრების ამბების გაგება. აი ამიტომ ჰროპერის „Оганеки“ გადაიქცა დღეს მთელი რუსეთის მკითხველი საზოგადოების საძებარ-სახელმძღვანელო ჟურნლათ და მის მოსვლას ყველა გაფაციცებით ელის და ეწაფვის.

გამომცემლობის საქმეში ახლანდელ სისწრაფის გამო ჰროპერის გამომცემლობამ, მართალია, თავის ჟურნალის სურათების მხატრული მხარე ცოტა დღეს დღეობით გააუარესა, მაგრამ მას ამ დარგში მეტოქეობას ვერც ერთი საკვირაო ამგვარი ჟურნალები ვერ უწევენ, თუმცა სილამაზის, ტეხნიკურათ მხატრულ სიმშვენიერით დღეს ჰროპერის გამოცემაზე უკეთესი საკვირაო ნახატებიანი ჟურნალები გამოდის. ასეთებია „ლეტოპის ვაინი“, „ნედელია“, „ზარია„, „ოტეჩესტვო“ „სოლნცე როსიი“, „ჟიზნ ი სუდ.“, „ვეს მირი“, „ევროპეისკაია ჟიზნ“, „დამატება ნოვოე ვრემიასი“, „ისკრი“ „თეატრი და ხელოვნება“, „რამპა“, „დამსკი მირი“, „მირ ჟენშჩინი“, “ჟენსკოე დელო“, „ჟურნალ დლია ხოზიაეკ“, „ჟურნალ დლია ჟენშჩინ“, „ჟენსკაია ჟიზნ“ და სხ. მისთ.

საანგარიშო წელს პეტროგრადში სულ 531 პერიოდული გამოცემები გამოდიოდა, ე. ი. 24,5% მთელ რუსეთში გამომავალ გაზეთებისა.

ამაზედ ნაკლები ალაგი არ უჭირავს რუსეთის მეორე ქალაქ **მოსკოვს** მწიგნობრობა-გამომცემლობის საქმეში. აქ სხვა ქალაქებზე გაცილებით მეტი რედაქციები, წიგნის მაღაზიები, სტამბები, ლიტოგრაფიები, ცინკოგრაფიები და სხ. მისთანებია. მოსკოვში გამომცემლობის საქმის ტონის მიმცემი სიტინის ამხანაგობაა, რომლის დღიური ორგანოა „რუსკოე სლოვო‘‘, რომელიც, როგორც ქართველმა მკითხველებმაც უწყიან, ყველა დიდრონ გაზეთებზე გავრცელებულია მთელ რუსეთში. ქუთაისშიც იმოდენი არც ერთი სატახტო გაზეთი არ იყიდებოდა. აქ იგი კანტორა „იმერეთი“-ს და სადგურის შკაფის საშვალებით 500-დი ცალი ვრცელდებოდა დღიურათ, თფილისში კი 2000—4500 ცალი. ასევეა ბაქოში, ბათუმსა, სოხუმსა და კავკასიის დანარჩენ ქალაქებში, სადაც კი სატახტო გაზეთები იყიდება. დღეს კი ამ გაზეთს დღევანდელ ომიანობის გამო პირვანდელ ელფერის შეცვლით მკითხველები უმცირ-

დება, მისი ტირაჟი კლებულობს, როგორც დიდრონ ქალაქებში, ისე პროვინციებში.

მარჯვნით საგრძნობელი მიწევა-გადახრა რუსეთის ლიბერალურ-რადიკალური პრესისა, რომლებსაც მემარჯვენე ორგანოები; „ნოვ. ვრ.“, „ზემშჩინა“ და მათგვარები ომამდი მემარცხენე ორგანოებათ ნათლავდენ და მათაც რუსეთის ცხოვრებაში რევოლიუციონერებად სახავდენ,—დღეს ზოგიერთი მაოგანის მიმართულება მემარჯვენეთ-უმარჯვენესათ გადაიქცა და მათი ფიზიონომია ახალნაირათაა შეცვლილი.

ეს სიმპტომატიური მოვლენაა რუსეთის დღევანდელი პრესისა, რომელიც, ეჭვი არაა დროისა და ომისაგან შექმნილ გარემოებებს ემსახურება, ხოლო მეორე დღიურ ორგანოს მოსკოველ პროფესორებისას „Русскія Вѣдомость“-ებს ამავე გარემოებებმა ელფერი ვერ შეუცვალა და დღევანდელ ომის მოვლენების გაშუქებამ მას პირველივით მკითხველები კი არ ჩამოაცალა, დიდძალი შემატა და თანისთან უმატებს კიდეც. თუ „რუს. სლოვომ“ საუარესოთ შეიცვალა ელფერი, სამაგიეროთ მისმა მოსკოველმა უხუცესმა თანამოძმემ საუმჯობესოთ გარდაქმნა იგი და თან შესცვალა პერიოდულ გამოცემების ტრადიციულათ გამომუშავებულ-დამყარებული წესები, ორგანიზაცია გაზეთის გავრცელებისა; წინანდელი კაბინეტურათ ამ საქმის წარმოება შესცვალა **ამერიკულ სისტემაზე** წარმოებით, ე. ი. **სისწრაფით, ფართოთ მის გავრცელებას მიაპყრო მეტი ყურადღება**. ამასთანავე იგი პროვინციელ აგენტებს სხვა გაზეთებივით აღარ ზღუდავს გაუყიდავ გაზეთების განსაზღრული 5,10,15 პროცენტების მიღებით. პირიქით უგზავნის მათ **ყველა გაუყიდავ №№-ბის უკან დაბრუნებით, მიღებით.**

გაზეთების გავრცელების ახალნაირმა სისტემამ „რუს. ვედომოსტებს“ გაუთკეცა და ზოგან გაუასკეცა დღიური ტირაჟი. მაგ. ომამდი იგი კანტორა „იმერეთის“—ს საშვალებით 10-15—20—დი ვრცელდებოდა ქუთაისში, ხოლო დღეს აქ იგი 120—150 ცალი გადის და საგულვებელია მისი უკანასკნელი ტირაჟი სამერმისოთ გაორკეცდება. და თუ ეს ფაკტად გადაიქცა, მაშინ კანტორა „იმერეთი“ ხსენებულ გაზეთის **მკითხველებისათვის მის ბინებზე დატარების, მიტანის ორგანიზაციას შეუდგება** მსგავსად თფილისის და სხვა დიდრონ ქალაქების ამ საჭირო საქმის მოგვარებისა, როგორც ამას თფილისში „რუსკი ვედომოსტების“ მკითხველებს აუწყებეს „Кавказское Слово“—№ 8—ში. ეს კი ყოველი გაზეთის გავრცელებას დიდათ ხელს შეუწყობს თუ კი იგი წესიერათ დაყენდა და არა ისე, როგორც მას პროვინციალურ ქალაქებში რედაქციები აწარმოებენ და გაზეთებს სანახევროთ, სამესამედოთ არ აღირსებენ, რისთვისაც ხელის მომწერლებისგან დაუსრულებელი საყვედურები გაისმის ყველა რედაქციებში. და, მართლაც სასაყვედურო ბევრი აქვთ ხელის მომწერლებს, რომლების გაზეთებს დამტარებლები ხშირათ ყიდიან, ტოვებენ რა კლიენტებს უგაზეთოთ. ამის მაგ. ყველა ქალაქებში მრავლისაგან უმრავლესს შეხვდებით, ხოლო თფილისელ ახალ გაზეთ „კავ. სლოვო“—ს ეს საერთო სენი ბეჭვდითი სიტყვის გავრცელებისა ამ თავიდავნე დაჩემებია და იგი პირველ ხიფათისთანავე აფთხილებს (№ 8-ში) თავის ხელის მომწერლებს, რომ დღეიდან ამ საქმეს უკეთ მოვაწყობთო. მოწყობა და წესიერათ ამ საქმის წარმოება კი შესაძლებელი იქნება თუ მის სათავეში ამ საგანმანათლებელო საქმეს შესაფერი პირები ეყოლება.

ეს საქმე განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს გვარიან კარგათ მქონდა დაყენებული იმ დროს მომქმედ საგაზეთო კანტორა „კოლხიდაში“, საიდანაც დამტარებლების საშვალებით ურიგდებოდა მაშინდელი გაზ „**ცნობის ფურცელი**“ ბინებზე და ამის გამო მას 400—500 ხელის მომწერიც ყავდა ქუთაისში. დღეს კი „ცნობის ფურცლის“ მონათესავე თფილისელ გაზეთებს ხელის მომწერლები ჩამოაცალეს ქუთათურმა ამ გვარივე გაზეთებმა, რომლებსაც ბინებზე ურიგებენ რედაქციები.

ასეთი მდგომარეობა იყო დღემდი გაზეთების გავრცელების საქმეში, ხოლო მომავალში შესაძლებელია ამ საქმის უკეთ მოგვარება, მისი საუმჯობესო ორგანიზაცია. ამიტომ, თუ კი ქუთაისის გაზეთების მკითხველი საზოგადოების მომეტებული ნაწილი განაცხადებს **სურვილს რომ ადგილობრივი და სატახტო გაზეთები მათ**

ბინებზე ურიგდებოდეს იმავე დღეს, როცა მათ კანტორა იღებს გასაყიდლათ - მაშინ იგი („იმერეთი“—ს გამგე) ენერგიულათ შეუდგება, ამ საქმის მოწყობას, მის ახალნაირ ორგანიზაციას. ამნაირათ, სხვათა შორის, ამ გზითაც რამოდენიმეთ მაინც წესიერება დამყარდება და შემდეგ ბეჭდითი სიტყვის გავრცელების საქმეს ნელნელა ჩამოშორდება მხოლოთ კაპეიკების მოგებით დაინტერესებული, ამ წმიდა, კულტურულ საქმისათვის შეუფერებელი პიონერები, როგორებიც მას ნამეტურ ამ ბოლო დროს აეტორღიალენ ქუთაისში და სხვაგან. ამათ ქუჩურ მოტყუებას, გაცილებით ზედმეტათ ჟურნალ—გაზეთების ყიდვას, თვიურ ანგარიშების შეცილებას, ქუჩებში უზდელ ტუტუცურ მოპყრობას და საერთოთ უწესრიგობას არა თუ საზღვარი ეძლევა, იგი თანისთან ვითარდება, ერცელდება. ამრიგით მათგან მკითხველ საზოგადოებას თავი აქვს მობეზრებული, და მათზე განუწყვეტელი საყვედურები გაისმის ქუჩებსა, კანტორებსა და რედაქციებში.

ამნაირათ დღეიდან მაინც თუ მკითხველი საზოგადოება დაგვეხმარება და ამ საქმით იმდენათ მაინც დაინტერესდება, რამდენათაც ყოველ დღს ახალი გაზეთის შეძენითაა დაინტერესებული და მას ესწრაფვის,—ჩვენც კაიხნის განზრახულ მის მოწესრიგება—მოგვარებაზე ჩვენ შრომასა და გამოცდილებას არ დავზოგავთ და ვინძლო ბეჭდითი სიტყვის გავრცელების საქმეს ყამირი ნიადაგი გამომუშავდეს, და მაზე მკვიდრი საფუძველი ამოვიყვანოთ, რომ შემდეგ ამაზე შენობაც შესაფერისი აშენდეს მომავალში, რათა მწიგნობრობას, საგანმანათლებლო, კულტურულ საქმეს პონერები, თანამგზავრებიც შესაფერისნი აღმოუჩდენ.

აი მიზანი ინტელიგენტურათ და არა მარტო ვაჭრულათ ამ საქმის მოწყობა წარმოებისა და აკეთკენ უნდა მიიმართოს ამ დარგში მომუშავე ინტელიგენტური ძალები ჩვენი ახალგაზდობისა, რომლის უმრავლესობას სადღეისო პროგრამა თავის ქვეყანაში მის სასარგებლოთ მოქედებისა ასე ვერ შეუგნია და გაუგნია.

ისიდორე კვიცარიძე.

(გაგძელება იქნება).

ᲒᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲐ

ყვავილები არ ყვავიან აღელვებულ ზღვაში,
ისმის მარტო ზღვის სიმღერა და ტალღების ტაში.

უდაბნოში არ იზრდება მიმოზები წყნარი—
სიცხე დგას და ცხელ ქვიშაში ღმუის მძაფრი ქარი.

სადაც სუფევსდემონების ძალა ერთათ—ერთი,
იცოდე, რომ იქ არასდროს არ არსებობს ღმერთი.

ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა,
შეჩვევია და სიმღერა მხოლოთ მათთან მჯერა!

გ. ტაბიძე

ეს ლექსი უნდა მოთავსებულიყო მეოთხე გვერდზე, მაგრამ შეცთომით ამ გვერდზე დაისტამბა.

რედაქცია.

ახლო აღმოსავლეთი

(გაგრძელება)

1225 წელს თურქების ურდო, რიცხვით 50000 სული, რომლებმაც იგრძნო, რომ მის თავზე, როგორც ქარიშხალი გრიგალივით გადაიარდა მონგოლთა საშინელი რისხვა, ცხვრის ფარასავით დაფრთხა, მოგჯა ხორასანის საძოვარ მდიდარ დავაკებულ მიდვრებს, რომელიც ამ თურქების წინაპრებს ძალით წაერთმიათ აღმოსავლეთის სპარსელებისთვის, დაადგა გზას დასავლეთისკენ და მიაშურა სომხეთის მთებს. აქ, ამ აღგილებში უკეთესი ბედის მაძებარმა ამ ცხანოსანმა მეომარმა შეჯოგე ალხმა გამონახა თვისი ეროვნების მოძმეები-თურქები-სულჯუკები, რომელნიც, როგორც მოგახსენეთ, მთელი საუკუნოებით დაუფლებოდენ მთელ მცირე აზიას. მარა წინანდელი ენერგია, მამაცობა ამ სელჯუკებისა ძალიან შესუსტებულიყო, დაცემულიყო. ხორასნის თურქებს-კი ძველ რბილში გამჯდარი ქონდათ იმ თავითვე სისხლის ღვრის, საშინელი ბრძოლის წყურვილები და მზათ იყვენ ყოველთვის ურიცხვი განსაცდელის და გაჭირვებისთვის თავი მიეცათ. ისინი შეუკავშირდენ მცირე აზიაში სულჯუკების სულთანს კონის და ერთოგულის უფროსობის და ბატონობის ქვეშ მყოფებმა მიიღეს ფრიგიის ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე მდებარე მიწა-წყალი, რომობიზანტიის იმპერატორის მეომრებისგან დაეცვათ ქვეყანა. აი აქ ასტყდა დიდი და საშინელი გამწარებული, დაუსრულებელი ბრძოლა, სისხლის ღვრა ამ აყრილ მეომარ ურდოს და მწყანარ მიწის მუშა ხალხს შორის, დაიწყო წმინდა, ღვთისგან ნაკურთხი ომი მამადიანთა და მათ მოძულე ქრისტიანთა შორის. ყოველს ლაშქრობაში ეს ძლიერი მეომარი, მეტათ მამაცი და გაუტეხელი თურქები უდიადესი აფთოვანებით და ენტუზიაზმით იბრძოდენ და ბიზანტიის დაქირავებულ მეომრებს საშინლათ ამარცხებდენ. თურქთა ბძანებელს ერთორგულს დარჩა შვილი, სახელდობრ, **ოსმანი**, რომლის ძარღვებში ფეთქდა უფრო ბერძნის სისხლი, ვიდრე თურქისა. ოსმანმა ისეთი დიდი სახელი და დიდება დაიმსახურა თვისი ვაშკაცობითა და მამაცობით, რომ მას აქეთ იმის ხალხს საქვეყნოთ ამიერიდან „**ოსმალები**" დაერქვა...

ეს მოხდა XIII საუკუნეში. ოსმანის შვილი, ორხანი მამაზე ნაკლები ვაშკაცი არიყო. მან ბიფინიაში დაიპყრო მდიდარი ბრუსის ქალაქი, სადაც აღაშენა უძლიერესი დიდებული სასახლე, ასე წოდებული, „უმაღლესი პორტისა". აქედან ეს შორს გამჭვრეტი სულთანი არწივივით თვალს ადევნებდა და სტკბებოდა უმდიდრესი, უნაყოფიერესი ზღვის ნაპირებით, რომლის დაპყრობა და ხელში ჩაგდება მას დიდათ ენატრებოდა. 1330 წელს მან დაიპყრო დიდი ისტორიული ნიკეია. ორხანის შვილი სულეიმანი ზღვის გადაღმა, უკვე ევროპის ნაპირზე გადავიდა და 1356 წელს აიღო დარდანელთან მდებარე გალიპოლი და, აშნაირათ, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით სრულიათ ჩაკეტა ბიზანტიის ალაყაფის კარები. აი, აქედან შეუდგენ თურქი — ოსმალების სულთანები კონსტანტინოპოლის აღების დიდს სამზადის, რომელიც გაგრძლდა მთელი ერთი საუკუნე.

თურქთა-ოსმალების სახელი საშინელ შიშის ზარს სცემდა მთელს ქვეყნიერებას და იმათ უყურებდენ და თვლიდენ კიდეც აღმოსავლეთის დიდი რომის გამანადგურებელ ხალხად თუმცა როგორც ამბობს ნ. ვამბერი*), ამ საშინელ მეომართა ურდოს რიცხვი 2500 სულს არ აღემატებოდა.

თავის დიდი საქმის სიძნელეს ძალიან კარგადაც გძრნობდენ ოსმალები და დიდი წინდახედულობით და ჭკუით ემზადებოდენ ომისთვის. ამ დროს არც ერთი არმია არ იყო არსად ასე დარაზმული და გაწყობილი სალაშქროდ ბრძოლისთვის, როგორც ცხენოსანი იანიჩარები და ქვეითი მეომრები ოსმალებისა. ამ დიდი მიზნის გასახორციელებლათ იყო დიდი მარაგი,

*) იხ. Die primitive cultur des Turco-Tatrischen Volkes". H. Vambery.

მზადება და გარწთვნა მხედრებისა ახლო-მახლო ქვეყნების მცხოვრელებისაც და ამ მხედრებში ერიენ, რასაკვირველია, ავანტიურისტი — ქრისტიანებიც. ამ უკანასკნელთ ძალიან კარათ ესმოდათ, თუ რა დიდ პრივილეგიებს ანიჭებდენ სულთანები მუსულმანთა ჯარებში სამსახურისთვის. იმ დროს, რა დროსაც თურქნი ოსმალნი გაჩდენ ევროპის მიწა წყალზე, ისინი იმდენათ ერს, მთლიან ხალხს არ წარმოადგენდენ, რამდენადაც შეუბრალებლათ სისტლის მღვრელ მეომართა ერთს დიდ კასტას.

გალიპოლის დაპყრობის შემდეგ, რამდენიმე წელიწადი რომ გავიდა, მურად 1 ფრაკია აიღო და 1365 წელს მან თვისი რეზინდენცია ედირნეში გაიკეთა, უძველეს გადრიანოპოლისში, ან ახლანდელ ადრიანოპოლში ამნაირათ, მან ყოველი მხრიდან გზები შეკრა და კონსტანტინოპოლი სრულიათ მოსწყვიტა ევროპის ხმელეთს. აღმოსავლეთის უმდიდრესმა, უშესანიშნავესმა იმპერიამ სულერთიანა დაჰკარგა თვისი დამოუკიდებელი არსებობის საფუძველი და მისი დიდი ვაჭრობა, დიდი აღებ-მიცემობა და დოვლათი სრულიად ჩანელდა და მოისპო.

ბალკანეთის არე-მარეზე გაშენებულ სლავიანთა სახელ-მწიფოებმაც, რომელნიც ბიზანტიას ხშირათ ეომებოდენ, უცბათ დაკარგეს დამოუკიდებლობა, ასე წოდებულ, „შაშვთა მიდორზე“ დიდს ბრძოლაში 1389 წელს. სერბიის მეფეს ლაზარეს და მრავალს კეთილშობილ თავად-აზნაურობას ოსმალების ბრძანებლის თვალის წინ მის ქოხში მოსჭრეს თავები. მეთოთხმეტე საუკუნის შუა რიცხვებში უდიდეს პოლიტიკურს ძლიერებას მიღწეული სტეფანე დუშანის მეფობის დროს სერბია, ეროის მხრით, საბერძნეთს ესაზღვრებოდა, მეორეს მხრით, დიდ ბულგარეთს. მარა ამ ისტორიულ დამრცხების შემდეგ, ეს სახელმწიფო მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში სრულიათ მოისპო და გაქრა იმისი ხსენებელი ისტორიაში. კოსოვოს მიდვრებზე სერბიის საბედისწეროთ დაღვრილი სისხლი იმ საზარელ ომში, სადაც დატრიალდა ამ ერის საშინელი, უდიადესი უბედურება, საუკუნოთ აღიბეჭდა სამხრეთის ქვეყნების სლავიანთა მეხსიერებაში.

ამ ისტორიულ ომის შემდეგ, მურად 1 სრულიათ გაბატონდა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის მდიდარს არე-მარეზე და დაპყრობილ ქრისტიანებს დაუწყო სახელმწიფო ხარჯების გადახდევინება და სამხედრო ბეგარების მოხდაც. მურად 1 დაიწყო ყოველ დღე და ღამ კონსტანტინოპოლის აღებაზე ფიქრი და ზრუნვა. მთელი ევროპის ხმელეთი ამ უმწარესი ამბავის გაგონების უსაზარლესმა შიშმა აიტანა და მოიცვა. და დაიწყო კიდეც დიდი მზადება ვენგრიის მეფის სიგიზმუნდის მეთაურობით, რომ დიდს და მდიდარს კოსტანტინოპოლს რამე შველებოდა და ეხსნათ იგი განსაცდელისგან.

თვითონ ევროპის დასავლეთის ქრისტიანობა თავზარდამცემმა შიშმა ისე გასტეხა წელში, რომ გული ჩაუკლა, სული სიცოცხლისა გაკმიდა, მიყუჩდა, თითქოს მოკვდა და კონსტანტინოპოლის ბედი მას არც კი აწუხებსო. ევროპის აღმოსავლეთის ქრისტიანობას-კი მარტო თვისი საკუთარი ძალღონით არ შეეძლო შეეკავებია ოსმალთა ძლევამოსილი ლაშქრობა და ვენგერლების მდ. დუნაიაზე ნიკოპოლთან დიდის დამარცხებით 1396 წ. მთელი ბიზანტიის დიდი იმპერია თურქებს—ოსმალებს ჩაუკარდა ხელში. მარა ამ დროს სწორეთ მონგოლების საშინელმა თემურლენგმა, მიიპყრო მურად 2 მთელი ყურათღება. მურად 1 დიდის, გასაოცარის სასწრაფით თავი მოუყარა და შეკრიბა მთელ თვის უძლიერესი მხედრობა და შესანიშნავს ისტრიულს მეომარე შეხვდა ანგორის მიდვრებზე 1403 წელს, მაგრამ იგი აქ საშინლად დამარცხდა და ტყვეობაში დალია სული.

ამას შემდეგ კაი ხანი გავიდა, კარგა დიდი დრო, სანამ ოსმალეთის იმპერია გაძლიერდებოდა, წელში გამაგრდებოდა, და ძველებურს ძალ-ღონეს კვლავ მოიხეჭდა. ძალიან დიადი, უსაშინელესი იყო ის რისხვა, რომელიც მონგოლებმა თავს დასცეს ოსმალებს 1422 წელს მურად 2 ხელ-ახლა დაიწყო დიდი მზადება და მაგარი კონსტანტილოპოლის ასაღებათ და გასანადგურებლათ. მაგრამ ეს დიდი საქმე

ვერც იმან დაასრულა, რადგან ალბანელებმა, სერბებმა, ბულგარებმა და მდ. დუნაის ნაპირებზე მოსახლე ვენგერებმა დიდი წინააღმდეგობა, მტრობა გაუწიეს მას იმპერიის დასავლეთის და ჩრდილოეთის საზღვრებზე. ბოლოს, აჯანყებული ერები მურად 2 საშინლათ დაამარცხა 1448 წელს კოსოვოს მიდვრებზედა ამიერიდან სოფლიო ქალაქის - კონსტანტინეპოლის ფერფლათ ქცევის დღეებიც დაითვალა. 1453 წელს დადგა ის საბედისწერო ჟამიც, როცა სულთანმა მაჰომედმა ნაცრათ და ფერფლათ აქცია ქვეყნიერების თვალი, ძველი უმდიდრესი ქალაქი, რომელიც მთელი ევროპის ცივილიზაციის კერიათ სამართლიანათ ითვლებოდა და ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი, კონსტანტინე პალეოლოგი, რომლის მხედრობა საარაკო გმირობით, გისაოცარის სიმამაცით ებრძოდა გამძვინვარებულს მტერს, ტრაგიკულათ დაიღუპა დიდი ქალაქას ნანგრევთა შორის. უდიადესი ნამოქმედარი მთელი ქვეყნიერობის მართლმადიდებელ ქრისტიანობისა — აიასოფიის ტაძარი, სამს ღღეს მტრებისგან საჯინიბოთ ქცეული მეჩეთათ გადააკეთეს და ამიერიდან ოსმალები საუკუნოთ მაგრათ დამკვიდრდენ ბისფორის უტურფეს, თვალის მომხიბლელ არემარეზე. თუ ყურათღებას არ მივაქცევთ ყველა იმ დიდ ცვლილებას, რომელიც მოხდა დინასტიებს, ენისმეტყველებას რელიგიებისადა ეროვნებათა შორისო, ამბობს ჰენიოსი გეოგრაფოსი ელიზე რეკლიუ, ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს უშველებელი ამბავი იყო მთელი აზიის შურის ძიება, სამაგიეროს ალექსანდრე დიდის მაკედონელის ლაშქრების გადახდა ალექსანდრე მაკედონელმა გადმოიარა ევროპა, გადმოვიდა აზიაში, დაიპყრო მცირე აზია, სირია, სომხეთი, საქართველო, სპარსეთის იმპერია და ინდოეთი და, აი, ამისი სამაგიეროს გადახდა იყო ეს დიდი, გასაოცარი ამბავიო“

მაჰმად 2 დაიპყრო, რა თქმა უნდა, ყველა ის ქვეყნები, რომელიც კონსტანტინოპოლს გარს ერტყა და შექნა სრულიათ ახალი რეჟიმი. ოსმალეთის იანიჩრები და ყაჩაღები, და მთვრალნი ასეთი ძლევა-მოსილებით და საარაკო ნადავლობით, გაგიჟებით მოედვენ მთელი ხმელთა შუა ზღვის უმდიდრეს არე-მარეს, ევროპის ჩრდილოეთის ზღვებსაცკი ასწვდენ, ლამანშსა და ინგლისის საზღვრებზე, ყოველგან თარეშობდენ თავისუფლად მამადის მორწმუნე ყაჩაღები.

ბიზანტიელებსა და ქართველებს კიდევ შეერჩენოდათ ტრაპიზონის იმპერია, რომელიც დაარსა ჩვენმა დიდმა მეფეთა-მეფემ თამარმა მაგრამ 1461 წელს ეს უკანასკნელი მტკიცე ბურჯი და ციხე აზიისაც აღებულ იქნა. საქართველოსაც მოგლიჯეს მთელი ნახევარი ქვეყანა — ერუშეთი, ლივანა, შავშეთი, ქობულეთი. აჭარა, მთელი ლაზისტანი, სამცხე-საათაბაგო და შავი ზღვის აღმოსავლეთის მდიდარი ნაპირები — ბათომი, ფოთი და სოხუმი სულერთიანა ხელში ჩაიგდეს. ქუთაისსაც ბევრი მწარე დღეები უნახავს ოსმალებისგან და ამ ორასი წლის წინათ იმათ აიღეს ქუთაისის შესანიშნავი ციხე, რომელსაც ფეხები მდ. რიონში ქონდა ჩადგმული, დასწვეს და დაანგრიეს აია სოფიის ტაძარივით ბაგრატის დიდებული ტაძარი და, რომ სოლომონ პირველის დიდის ვაშაკაცობა არ მოვლენოდა ჩვენს ქვეჩანას, ახლაც იმათ ხელში ვიქნებოდით ჩვენც, იმერლები გამამადიანებული...

ამ ნაირათ, გაძლიერდა ეს საოცარი ერი, ისტორიული თურქი-ოსმალო ევროპის აღმოსავლეთისკენ და აზიაში და იქ მცხოვრებელი ქრისტიანები შეკრა და ამიერიდან გახადა უბრალო „რაიებათ“, რომელნიც ქრისტიანთა სისხლის მსმელ მეომარ მუსულმანთა სულ უბრალო სიანჩხლის, კაპრიზების სურვილების და გულისთქმის სხვერპლნი უნდა გამხდარიყვენ. ოსმალებმა ძველი ბერძნული სიტყვების სახსენებელიც კი მოსპეს და ბარბაროსული სახელი უწოდეს კოსტანტინოპოლს, მაგალითათ, Eis clv polis გადააქციეს „ისტამბულათ“, და ნახევარი მთვარე არტემიდისა შეიქნა სიმბოლო ნააკურთხი, წმიდა ომისა მამადიანთა სიძლვილის საქრისტიანო რომის „ჯვარისა“...

ამ დროს განმავლობაში დაშლილი, დაგლეჯილი გერმანიის იმპერიის ერთი დიდი, თვალ საჩინო ნაწილი — ავსტრია უშველებელ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და კინაღამ სრულიათ დაკარგა დამოუკიდებლობა ოსმა-

ლეთთან მუდმივს გამწარებულს ბრძოლაში. მარა თვით ოსმალეთიც მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ვერ იყო კარგათ მოლონიერებული, ფრთა შესხმული ძლიერათ, რადგან ხმელთა შუაზღვაზე შიშის ზარს სცემდა ყველას სულეიმან დიდის ფლოტი, რომელიც არსაითკენ გასაქან გზას არ აძლევდა ოსმალეთს. დასავლეთისკენ ოსმალთა მფლობელობის გავრცელებას სრულიათ ბოლო მოუღო 1565 წელს მალტის აუღებლობამ და 1571 წელს ლეპანტოსთან დიდმა დამარცხებამ, ამიერიდან ოსმალეთის ხეანთქარნი მაგრათ შეიკეტენ თავიანთ ძვირფას, მდიდარს სასახლეებში, სადაც ინტრიგა, გაუტანლობა არ გამოლეულა და თავიანთ დაქირავებულ ერთგულ მონებს ანდობდენ ხოლმე დანარჩენი ქვეყნების დამორჩილებას და დაპყრობას.

ამ დროს გერმანია ოსმალეთზე უფრო გაცილებით დასუსტებული და დაუძლურებულიც იყო და დიდი ვეზირი კარა-მუსტაფა-ასე წოდებული „მუსტაფა შავი“ შეიქნა დიდი ბრძანებელი ალპებსა და კარპატებს შორის მდებარე ქვეყნების და ერთი მეორეზე საშინლათ ამარცხებდა ავსტრიის ჯარებს და 1683 წელს პირდაპირ იმპერიის სატახტო ქალაქს ვენის ალაყაფის კარებს მიადგა თავისი მხედრებით...

ვენასთან კარა—მუსტაფა საშინლათ დაამარცხა პოლონეთის ძლიერმა მეფემ იან სობესკიმ *), და ამნაირათ, პოლონეთმა დიდი, ფას დაუდებელი ღვაწლი დასდო ევროპას, რომ იმის არე მარენი საუკუნოთ იხსნა ოსმალთა განადგურებისგან.

მეორეთაც სცადა კაცის სისხლის მსმელმა კარა-მუსტაფამ ვენის აღება და განადგურება. მარა კიდევ საშინლათ დამარცხთა და... ამიერიდან დაიწყო ოსმალთა პირის უკან გამობრუნება და ევროპის დასავლეთის დაპყრობაზე სამუდამოთ ხელის აღებაც... ოსმალთა დამარცხებამ დააკარგვია იმათვე საუკუნოთ ქალაქი ბუდა და დიდი ნაწილ ვენგრიისა ქალაქ მოჩოხზე დამარცხებამ. კი (1687 წ.) იმათ სამუდამოთ დაატოვებინა სლავონია დ კროაცია. ავსტრიელების ჯარებმა იმდენი ქნეს, რომ ბელგრამდის მიაწიეს. ბოლოს, მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს კარლოვიცაში ოსმალებმა და ავსტრიელებმა ზავი შეკრეს და ოსმალებმა ვენგრია და ტრანსილვანია ავსტრიას მისცეს, აზოვი-რუსებს, უკრაინა და პოდოლია—პოლონეთს, პელოპონესი—ვენეციელებს. ამ რიგათ, ოსმალთაგან დაკარგული ადგილი სულ არე-მარითა და მოსახლობით მთელ მესამედ ნაწილს შეადგენდა იმისას, რასაც ისინი ფლობდენ თლათ ევროპაში.

შემდეგ წლებშიაც ბევრი სისხლის ღვრა და გამწარებული ომები მოხთა, რომელსაც მოყვა სხვადასხვა შედეგები და 1718 წელს პასაროვიცაში შეჰკრეს ზავი, რომელმაც ავსტრიას მიანიჭა ბატონობა მდინარე დუნაიზე მდებარე ოლქებში, რომელნიც გერმანიის საზღვრებს გარეშე მდებარეობდენ.

ამ რიგათ, მთელი იმპერიის სიმძიმის ცენტრი ამიერიდან გადმოტანილ იქნა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ.

გულკეთილი.

(შემდეგი იქნება)

ომის მატიანე.

I.

განვლილ ორ კვირაში, დასავლეთ ფრონტებზე, მაინც და მაინც დიდი გამარჯვება არ უძღვნია ბედს რუსებისთვის; მარა, სამაგიეროთ, არც დამარცხება რგებია წილათ. თითქმის მუდმივი ბრძოლა მდ. ვისლას ორივე ნაპირებზე დიდ შედეგებს რა გვიტოვებს, მარა, საერთოთ რომ გადავავლოთ თვალი, ამ უკანასკნელ ორ კვირაში მომხთარ ამბებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო რიგიანათ რუსების საქმე მიდის, ვიდრე მტრების.

როგორც მთავარ შტაბის ცნობებიდან ჩანს, მოხთა შემდეგი: მდ. ვისლას მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე ბეკრჯელ იყო ცოტათ თუ ბევრათ შესანიშნავი არტილეურიული შე-

*) იხ.,, ადამიანი და ედამიწა“, ელიზე ეკლიუსა ტომი IV გვ. 218.

*) იხ. სახელოვანი ადამ. მიცკევიჩის ნაწერები ამ საგანზე

ტაკებები, მარა უმეტესათ მტრის უკუგდებით ბოლოვდებოდა: 30 დეკემბერს მდ. ვისლას მარცხენა ნაპირზე, სოფ. სუხასთან და ფოლვარ მოგელთან; 31 დეკემბერს, ვისლასვე მარცხენა ნაპირზე; ახალწლის ღამეს, ლეტცენის ძიდამოებში; 5 იანვარს, სოფ. კონოპკასთან, ვისლას მარცხენა ნაპირზე; სასტიკი დაშენა თოფ ზარბაზნების სოფ. ვიტკოვიცესი; იერიში დობრჯინთან; 7 იანვარს ჩრდილო მიდამოებში და სოფ. ვიტკოვიცესთანვე; რადლოვის სამხრეთით; დასავლეთ გალიციაში და სხვა.—

როგორც იტყობინება მთავარი შტაბი, ამ ორ კვირაში მტერს არც ერთი ღირს შესანიშნავი პოზიცია არ წაურთმევია რუსებისთვის.—

ამ გვარივეა ავსტრიელების ბედიც: 31 დეკემბერს, ავსტრიის საზღვრებისკენ წარმოებდა არტილერიული სროლა, რომელიც რუსების სასარგებლოთ გათავდა; ამაო იყო ავსტრიელების ცდა კარლიბაბის მიდამოებში თავდასხმის; ფუჭეთ ჩაიარა მათმა თავდასხმამ გალიციაშიც უჟგოროდ—სამბორის რკინის გზის სამხრეთ აღმოსავლეთით; უმიზნო დარჩა პინჩოვის სამხრეთ მიდამოებში მათგან სროლაც.

რუსებს ბედი ცოტა უფრო უღიმოდა: ამათ, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ბევრჯელ უკუაგდეს და ჩააჩუმეს მტრების არტილერიული სროლა; აღმოსავლეთით დაიკავეს სოფლელების მთელი რიგი; ამავე დღეს დაიკავეს სერპეცი; ბუკოვინაში დაიჭირეს: ტრანსილვანიის საზღვარზე მდებარე გადასავალი გზა კირლიბაბა, სოფელი იოჰანეშტი, ვერხორტა და სკემბა.

II

მარა, რამდენათ სუსტია შედეგებით დასავლეთის ფრონტებზე ბრძოლა, იმოდენათ ღირს-შესანიშნავია რუსის ჯარის მოქმედება კავკასიის საზღვრებზე. ოლთისის მიდამოებში დაამარცხეს მთელი რიგი ოსმალოს არიერგარდებისა, ხელთ იპყრეს არტილერიის ერთი ნაწილი და მრავალი ტყვე.

ყარაურგანის მიდამოებში 29 დეკემბრიდან დაწყებული ბრძოლა თანდათან აძლევდა რუსებს გამარჯვებას; ამ მიდამოებში დაატყვევეს ოთხმოცდა მეთორმეტე ოსმალეთის პოლკი, თერთმეტი აფიცრით, სამი მკურნალით და 1500 ჯარის კაცით; მოსპეს ოსმალოს ორმოცდა მეთერთმეტე პოლკის ბატალიონი; 30 დეკემბერს დაატყვევეს 53—ტე ოსმალეთის პოლკი, ხელთ იგდეს მთის ზარბაზნები, სურსათი და სამკურნალო 600 დაჭრილებით; ორ იანვარს რუსებს ხელთ ჩაუვარდა 1000 მეტი ტყვე და მრავალი იარაღი. 4 იანვარს ყარაურგანის ბრძოლა დაბოლოვდა რუსების სრული გამარჯვებით. ოსმალოს დამფთხალი, დამარცხებული არმია გაიქცა აზრუმისკენ.

არც ჭოროხისკენ არის ცუდათ საქმე: ნელნელა, მარა საიმედოთ ერეკებიან მტერს ჭოროხიდან.

6 იანვარს ახალიკის, ლიაფსორისა და კაიჰანის მიდამოებში რუსებმა დაამარცხეს ოსმალოს მოწინავე რაზმები, დაატყვევეს ბევრი და ხელთ იგდეს მტრის ბანაკი; რუსებმა აიღეს არდანური.

III

22 დეკემბერს შავი ზღვის ფლოტმა, ცურვის დროს სინოპითან თვალი ეოკრა ოსმალეთის გემს „მეჯიდიეს“. მას გამოედევნა ერთი რუსის კრეისერი რამდენიმე ნაღმოსანით; დაეწია, აუტეხა სროლა და ძალზე დაზიანა. მარა ხელთ ვერ იგდო; უკანასკნელმა მოასწრო გაქცევა. რუსის ფლოტმა დაძირა ტრაპიზონში მიმავალი, ნავთით დატვირთული კონსტანტინოპოლის გემი „მარიამ ტერეზია“; 24 დეკემბერს რუსის ფლოტს მოუხდა შეტაკება „ბრესლაუსა“ და „გამიდიესთან“. სურმენეს და რიზის დათვალიერების დროს, რუსის ფლოტმა დაღუპა 51-დე მტრის ხომალდი; სურმენეს სადგურში ოსმალოს ქვეითა ჯარმა რუსის ფლოტს სროლა აუტეხა, მარა უკანასკნელიდან ნასროლმა ყუმბარებმა გაფანტა მტერი. რუსებმა დაუშინეს ყუმბარები ხოპას, რის გამო ბევრს ადგილს ცეცხლი გაჩდა. ამ ბრძოლაში რუსებმა დაკარგეს ერთი ლეიტენანტი და ერთი მიჩმანი.

ჟურნალ-გაზეთების ტაციობის მაგალითები ქუთაისსა და თფილისში.

ერთ თვეზე მეტია რაც ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებლათ არსებული კანტორა „იმერეთი“ ძველებურათ პირდაპირ არ ღებულობს არც რედაქციიდან და არც მის რწმუნებელ გაზეთის გამვრცელებელისაგან („განთიადი“-საგან) ღღეს თფილისში გამომავალ „ახალ აზრს“. ამ გაზეთს კან-

ტორა თეთრი ხიდის ყურში მეოთხე გამ-ყიდველის ხელში გამოსულს ყიდულობს ნაღდ ფულზე და ისე აკმაყოფილებს ამ გაზეთზე თავის ხელის მომწერლებს და რამოდენიმეთ ხელზე მყიდველებსაც.

დღეს არ ვიცით რა მოსაზრებით კანტორა „იმერეთი“-სათვის ხელიდან გამოუტაცნიათ თფილისელი კიდე სამი ქართული პერიოდული გამოცემა (რომლებსაც კანტორა გულსმოდგინეთ ბლომათ ავრცელებდა ქუთაისში) და მის გვერდში, სწორეთ ათი ლაჯის მანძილზე ვინმე ვაჭარ მესაათის მაღაზიაში დიდის ტრიუმფით და დემონსტრაციით ყიდიან. დღევანდელი გატაცებული გამოცემებია: საკვირაო ჟურნალი: 1. „თეატრი და ხელოვნება“, საორშაფათო გაზეთები ძველი 2. „თემი“ და ახალი 3. „შადრევანი“.

ქუთაისის მკითხველი საზოგადოება კითხვითი ნიშნათაა გადაქცეული კანტორა „იმერეთი“-ს უკანასკნელი თავგადასავლის გაზეთების და ფულების ტაციობის გამო, როგორც თვით ამ ზნეობრივ, ფიზიკურ და ნივთიერ სასჯელს ამ ათი წლის განმავლობაში განაცადი კანტორის გამგე ისიდორე კვიკარიძე გვაცნობს ქუთაისის მკითხველ საზოგადოებისადმი მიმართულ წერილ „ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან“-ში (გაზეთ „იმერეთი“-ს მე-№№ 8, 9, 10, და 11-შია). ხოლო ამ მწარე და სასტიკ თავგადასავალს „იმერეთი“-ს მე-11-№ შივე (ახალ ამბებში) აი როგორ ცნობას ვკითხულობთ გაზეთების ტაციობის გამო. მოგვყავს იგი სიტყვა-სიტყვით:

„ჟურნალ-გაზეთების კანტორა ,,იმერეთ''-ს კვირას არ მიუღია გასაყიდათ თფილისელი ქართული გამოცემები ყოველკვირეული ჟურნალი ,,თეატრი და ხელოვნება'' და ორშაბათს, საორშაბათო გაზეთი ,,შადრევანი'' და ,,თემი''. ამის გამო ,,იმერეთის'' გაგგემ ხსენებულ რედაქციებს შემდეგი დეპეშით აცნობა ეს გარემოება:

,,თფილისი. რედაქცია ,,შადრევანს'' კოპიო ,,თემს''. კანტორა ,,განთიადის'' გაზეთების აგენტმა უარი გამიცხადა დაეთმო გასაყიდათ ,,შადრევანი'' 250 ცალი და ,,თემი'' 150 ცალი. კანტორა ,,იმერეთი'' მეტათ უხერხულ მდგომარეობაშია თავის კლიენტების წინაშე. მოახდინეთ შესაფერისი განკარგულება. მიპასუხეთ. კვიკარიძე''.

კანტორა ,,იმერეთი'' ხსენებულ გაზეთებს ქუჩაში ყიდულობს და ისე აკმაყოფილებს ქალაქის და სოფლის სამკითხველოებს, რომლებიც მას ხელისმომწერლებათ ყავს. კანტორის გამგე ელის პასუხს თფილისის რედაქციებიდან, რომლებმაც იმერეთში კარგათ ცნობილ საგაზეთე კანტორა, ,,იმერეთს'' არ ვიცით რა მოსაზრებით მოუსპეს თფილისის ქართული ჟურნალ-გაზეთების გზავნა''!.

,,განთიადი''-ს რედაქცია საჭიროთ თვლის დღეს პრესაში ასე აშკარათ წამოყენებული ბეჭვდითი სიტყვის, მწიგნობრობის გავრცელების მოუწესრიგებლობის საკითხი ჯერ ცხოვრებაში, შინაობაში გაირკვეს, ხოლო მერე ყოველივე მისი ავი და კარგი პრესისავე საშვალებით გაზეთების ქართველ მკითხველ საზოგადოებას ეუწყოს, რათა საკითხი ნათლათ გაშუქდეს, ამ საგანმანათლებლო საქმეში კულტურული წესრიგი დამყარდეს და პრაქტიკულ საქმიანობით იდეიურათ მომზადილ და იმგვარათვე დაინტერესებულ ახალგაზდებს მიერჩოდესთ სული და გული მაზედ.

ამიტომ აქ, ან თფილისში (სადაც საამისო პირობები მოსახერხებელი იქნება და ამ საქმემ თავი წამოყო), აირჩეს ბეჭვდითი სიტყვასთან დაახლოვებული და მწერლობის შეგნებულათ, გულწრფელათ გულშემატკივარი და მაზედ საქმით მზრუნველი პირებისაგან შემდგარი კომისია და მიენდოს მას ბეჭვდითი სიტყვის გარცელების მოუწესრიგებლობის საქმე და ქუთათურ ,,იმერეთი''-ს იგენტურის კონფლიკტ ითფილისელ კონტრაგენტებთან დაწვრილებით გამოირკვევა...

რედაქციას ეს მწიგნობრობისათვის საღეისო საკითხათ მიაჩნია და საჭიროთ თვლის მის პრესაში გამოტანას და გარკვევას...

რედაქტორ-გამომცემელი ს. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ.

საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთი

წელიწადი მეორე.

შრომა

წელიწადი მეორე.

1915 წლის პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ დღე.

წლიური ხელის მომწერლები პრემიათ მიიღებენ ბიკტორ ჩერნოვის წიგნს ფილოსოფიური სოციოლოგიური ეტიუდები. (ქართულ ენაზე 300 გვ.) არა ხელის მომწერლებისთვის წიგნი ეღირება 2 მან. ფულის გადახდა წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ: ხელის მოწერისას 3 მან. 1 აპრილს 2 მან. 1 ივნისს 2 მან.

გაზეთი ღირს: 1 წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მან.—40 კ. ერთი თვით 80 კ.

მისამართი: ქუთაისი. ,,შრომის'' რედაქცია სახ. მკურნალი მ. ლორთქიფანიძისა. ფოსტით: Кутаисъ, газ. „Шрома“ почт. ящ. № 47.

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეექვსე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1915 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა; პატარებისთვის და მოზრდილთათვის. **ჟურნალი „ჯეჯილი“** თფილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნუმერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—,,ჯეჯილის'' რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ. въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала ,,Джеджили'-

რედ.—გამომცემელი **ან. თუმანიშვილი წერეთლისა.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელიწადი მერვე).

1915 წელში ჟურნალი „**განათლება**“ ჩვეულებრივ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესე მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მან). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმოთ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „**მრავალჟამიერ**“ მუსიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისათვის. **პესტალოცის, ჰერბერტ სპენსერის, რუსსოს და კომენსკის სურათებს**, რომელთა მაგიერ 1914 წელს ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის ,,სინათლის'' და ,,პატარა მურია'' სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განეოფილება, სადაც იბეჭდება ეოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განეოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართული გიმნაზიაში, ,,ნაკადულის'' რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და წიგნის მაღაზია ,,Новая рѣчь'' **კიკნაძესთან**, **ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია ,,განთიადში'', **სამტრედიაში** წ.-კ. საზოგადოების კიოსკში **მ. კოპალეიშვილთან**, ამ სამ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ეოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლათ.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Гимназія **Л. Г. Боцвадзе**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**